



თბილისის ღია სასწავლო  
უნივერსიტეტი

„ოჯახში ძალადობის პრევენცია და მისი სამართლებრივი რეგულირება“

მაგისტრანტი - დესაძე სალომე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი :

სამართლის დოქტორი,

პროფესორი ამირან მოსულიშვილი

„თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი,“

თბილისი, 0156, საქართველო 2019 წ.

ავტორი : სალომე დესაძე

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

სკოლა: სამართლის

საგანმანათლებლო პროგრამა: სისხლის სამართალი

„ჩვენ ქვემოთ ხელმომწერი ვადასტურებთ, რომ გავეცანით სალომე დესაძის მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: „ ოჯახში ძალადობის პრევენცია და მისი სამართლებრივი რეგულირება“ და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი:

ხელმძღვანელი: ამირან მოსულიშვილი, სამართლის დოქტორი, პროფესორი

.....

ხარისხის მართვისა და სტრადეგიული განვითარების სამსახურის უფროსი:

.....

## რ ე ზ ი უ მ ე

ნაშრომი მიზნად ისახავს წარმოაჩინოს თუ რაოდენ პრობლემატურია ოჯახში ძალადობის საკითხი საქართველოს თანამედროვე რეალობაში. წარმოგიდგენთ თუ რა არის ოჯახში ძალადობის გამომწვევი ძირითადი საფუძვლები; რა რეგულაციები არსებობს აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში და რა სამართლებრივი ბერკეტებია ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის წინააღმდეგ. ნაშრომში მოყვანილია ოჯახში ძალადობის კონკრეტული და რეალური ფაქტები, რომელი მაგალითებიც ნათლად გვიჩვენებს თუ რეალურად რაში მდგომარეობს ძალადობის გამომწვევი ძირითადი პრობლემა და სამართალდამცავი სამსახურები, რა სახის წინააღმდეგობას აწყდებიან ოჯახში ძალადობის პრევენციასა და ბრძოლის დროს. წარმოდგენილი ნაშრომი ასევე ეხება „ოჯახში ძალადობის პრევენციას და მის სამართლებრივ რეგულირებას“, ნაშრომში განხილულია ოჯახში ძალადობის არსი, მისი გამომწვევი მიზეზები, ძალადობის შედეგები და სამართლებრივი აღკვეთის მექანიზმები. ნაშრომში გაანალიზებულია ოჯახში ძალადობის საქართველოსა და უცხო ქვეყნების პრაქტიკა. ნაშრომი შედგება შესავლისაგან, ოთხი თავისა და დასკვნისაგან. პირველ თავში საუბარია ოჯახში ძალადობის არსზე და მის სოციალურ - პოლიტიკურ ასპექტებზე. მეორე თავში განხილულია ოჯახში ძალადობის გამოვლენის ფორმები, ძალადობის სუბიექტები, ოჯახში ძალადობის განმაპირობებელი ფაქტორები და რისკ-ჯგუფები. მესამე თავში წარმოდგენილია ოჯახში ძალადობის სოციალურ - სამართლებრივი რეაგირებისა და დაცვის მექანიზმები, ასევე ოჯახში ძალადობასთან მიმართებაში არსებული და მიმდინარე რეფორმები და მათი მიზნები. მეოთხე თავში განხილულია საერთაშორისო პრაქტიკა და მიდგომები ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებით.

## **Resume**

The aim of this work is to show how problematic the issue of domestic violence is in modern Georgian reality. I present to you what the main causes of domestic violence are, what regulations exist in connection with the mentioned issue, and what kind of legal tools exist against domestic violence. Specific and real facts of family violence are given in this work which clearly show what the real reason for domestic violence is, and what obstacles law enforcement services encounter while preventing and fighting against domestic abuse.

Presented paper concerns prevention and legal regulation of domestic violence. It considers the significance of domestic violence, its results and mechanisms of legal cancellation. Practice of domestic abuse in Georgia and foreign countries is analysed in this work.

This work consists of introduction, two chapters and conclusion. The first chapter considers the significance of domestic violence, its social-political aspects. The second chapter concerns forms of detection of domestic abuse, subjects of violence, factors and risk groups causing family violence. Mechanisms of social - legal response and protection are given in the third chapter. Also, existing and current reforms relating to domestic abuse and their goals. International practice and approaches to domestic violence are considered in the fourth chapter.

## **შინაარსი**

შესავალი .....	6
<b>თავი 1. ოჯახში ძალადობის არსი .....</b>	<b>9</b>
1.1 ოჯახური ძალადობა და მისი სოციალურ-პოლიტიკური ასპექტები .....	9
<b>თავი 2. ოჯახში ძალადობის გამოვლენის ფორმები .....</b>	<b>16</b>
2.1 ფიზიკური ძალადობა .....	16
2.2 ფსიქოლოგიური ძალადობა .....	18
2.3 იძულება .....	21
2.4 სექსუალური ძალადობა .....	21
2.5 ეკონომიკური ძალადობა .....	22
2.6 სტრესი, როგორც ძალადობის გამომწვევი ერთ ერთი ფაქტორი .....	25
2.7 არასწორი აღზრდა, როგორც ძალადობის გამომწვევი მიზეზი .....	26
2.8 სიმთვრალე და ნარკოტიკი, როგორც ძალადობის გამომწვევი ფაქტორი .....	27
2.9 ოჯახში ძალადობის სუბიექტები და რისკ-ჯგუფები .....	29
2.10 ოჯახში ძალადობის ხელშემწყობი ფაქტორები და მათი დინამიკა .....	36
<b>თავი 3. ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სოციალური და სამართლებრივი რეაგირება და მოქალაქეთა მექანიზმები .....</b>	<b>39</b>
3.1 ოჯახში ძალადობის პრევენციის ხერხები და მექანიზმები .....	49
<b>თავი 4. უცხო ქვეყნების გამოცდილება ოჯახში ძალადობასთან მიმართებაში .....</b>	<b>53</b>

დასკვნა .....	59
გამოყენებული ლიტერატურა .....	63

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

ოჯახში ძალადობა თანამედროვე საზოგადოების აქტუალური პრობლემაა. მას არ გააჩნია კულტურული, სოციალური, ეკონომიკური, რელიგიური ან ტერიტორიული საზღვრები. პრობლემის აქტუალობას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ ძალადობა ხდება ოჯახში, ოჯახის წევრებს შორის და უმეტეს შემთხვევებში იგი ფარულია ფართო საზოგადოებისათვის. ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი უმეტესად ქალები და ბავშვები არიან. ძალადობის თანმდევად გამოწვეული შიშის გამო, ისინი ფაქტობრივად ვერ ახერხებენ თავიანთი უფლებების დაცვას. ოჯახში ძალადობა წარმოადგენს გლობალურ პრობლემას და არ არის მხოლოდ რომელიმე კონკრეტული ქვეყნის ან ერთი კონკრეტული ოჯახის პრობლემა. ძალადობის მსხვერპლი უმეტეს შემთხვევებში ამჯობინებს დუმოს, რადგან აქვს მცდარი წარმოდგენა რომ მსგავსი პრობლემა მხოლოდ მას წარმოეშვა და არსებულის გამო შესაძლებელია საზოგადოებამ იგი გაკიცხოს. ოჯახი წარმოადგენს საზოგადოების სწორად ფორმირების საფუძველს. თუმცა, გარკვეული მიზეზების გამო თანამედროვე სამყაროში, ოჯახები ხშირ შემთხვევაში დისფუნქციურია, სადაც ხორციელდება ძალადობა მრავალი ფორმით. ოჯახში ძალადობის ძირითად ობიექტებს წარმოადგენენ ქალები და ბავშვები, აღნიშნული საკითხი დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს სამართალდამცავებს, რომლებმაც დროული რეაგირება უნდა მოახდინონ ძალადობრივ ქმედებებზე და ჩაატარონ სრულყოფილი გამოძიება. ოჯახში ძალადობა საქართველოსთვის ისეთივე გამოწვევას წარმოადგენს, როგორსაც სხვა განვითარებული ქვეყნებისთვის. შესაბამისად, სახელმწიფო, მისი სამართლებრივი გარანტის ვალდებულებიდან გამომდინარე, აქტიურად მოქმედებს ოჯახში ჩადენილი ძალადობის გამოვლენისა და

ეფექტიანი გამოძიების წარმოების მიმართულებით. არსებული პრობლემის მოსაწესრიგებლად ხორციელდება ახალი საკანონმდებლო რეგულაციების დამუშავება და მიღება. მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურებს შორის, რათა შემუშავებულ იქნეს ძალაღობასთან ბრძოლის საერთო სტანდარტი და გათვალისწინებულ იქნას როგორც ქართული ასევე უცხო ქვეყნების გამოცდილება ოჯახში ძალაღობასთან დაკავშირებით, რადგან ოჯახურ ძალაღობას მიუხედავად კულტურული და სოციალური სხვაობისა უმეტეს სახელმწიფოებში განვითარებას მსგავსი ფაზები გააჩნია.

ოჯახში ძალაღობა განსაკუთრებით ნეგატიურად აისახება არასრულწლოვნებზე. ამასთან, ოჯახური ძალაღობა ძირითადად ლატენტური (გაუხმაურებელი/ფარული) ბუნების მქონე დანაშაულია, რაც განსაკუთრებით ართულებს მის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას. პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა პოლიციის სამსახურების ერთიანი განსაკუთრებული ყურადღება, რადგან ძალაღობას შესაძლებელია უმძიმესი შედეგები მოჰყვეს. ნაშრომში კონკრეტულად განვიხილავთ არსებულ მოცემულობას. საქართველოში ჩატარებული საზოგადოებრივი კვლევის/გამოკითხვის შედეგად, საზოგადოების უმრავლესობა ოჯახში ძალაღობის ძირითად მიზეზად უმუშევრობას, ალკოჰოლიზმს, ნარკომანიასა და სხვა სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს ასახელებს. რაც შეეხება ოჯახში ძალაღობის მიზეზებს, მისი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი ელემენტებია: ძალაუფლება და კონტროლი. დღეისთვის საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებულია, რომ ოჯახური პრობლემები მხოლოდ ოჯახის წევრებს არ ეხებათ და ძალაღობის ფაქტი, რომელიც ოჯახში მოხდება თუ ოჯახს გარეთ, აუცილებლად უნდა აღიკვეთოს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უმეტესმა სახელმწიფოებმა, მოცემული პრობლემის სამართლებრივ ჩარჩოებში მოსაქცევად შექმნეს სპეციალური საკანონმდებლო ბაზები ან არსებულ კანონმდებლობებში ცვლილებები შეიტანეს. ამ კუთხით საქართველოს კანონმდებლობის მნიშვნელოვანი მიღწევაა „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების

კოდექსის“ მიღება რომელიც სპეციალურ ჩარჩოებში აქცევს არასრულწლოვნების მიერ და მათ მიმართ ჩადენილ დანაშაულების გამოძიების სპეციფიკას. „ოჯახში ძალადობის“ დეფინიცია მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაშია და მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობაშიც გაჩნდა. აღნიშნულმა დეფინიციამ ოჯახური ძალადობა აღიარა ისეთ ქმედებად, როდესაც სახელმწიფო ვალდებულია პრობლემის პრევენციისათვის გარკვეული ღონისძიებები გაატაროს და შესაბამისად, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/მსხვერპლები და მათზე დამოკიდებული პირები შემდგომი ძალადობისაგან დაიცვას. სახელმწიფომ საზოგადოების წინაშე ვალდებულება აიღო, ებრძოლოს ძალადობას ოჯახში და განახორციელოს მისი პრევენცია.

ნაშრომის მიზანია განხორციელდეს კონსოლიდაცია ყველა მნიშვნელოვანი გარემოების რომლებიც ოჯახში ძალადობას ეხება, მოხდეს მათი ანალიზი და შესაბამისად შემუშავდეს გარკვეული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებამ შესაძლოა შედარებით გააუმჯობესოს არსებული პრობლემის სტატისტიკური მდგომარეობა.



## თავი 1. ოჯახში ძალადობის არსი

### 1.1 ოჯახური ძალადობა და მისი სოციალურ-პოლიტიკური ასპექტები

საქართველოში მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულში განვითარებულმა მოვლენებმა წარმოშვა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ხასიათის ურთულესი პრობლემები. სოციალური წინააღმდეგობები ყველაზე უფრო რთულად ოჯახზე აისახა<sup>1</sup>. მატერიალურმა სიდუხჭირემ, მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის ცხოვრების პერსპექტივის დაკარგვამ, ძალზე უარყოფითი დაღი დაასვა ოჯახს. საბოლოოდ კი წარმოიშვა ისეთი მოვლენა, როგორცაა საოჯახო ურთიერთობებში ძალადობა, რამაც თანამედროვე საზოგადოებაში ობიექტურად წარმოშვა ოჯახური ძალადობის თავიდან აცილების პრობლემა. საქართველოში 2013-2018 წლების დანაშაულის სახეობის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ძალადობა 6,464 ერთეულით პირველ ადგილზეა, 172-ერთეულით ჯანმრთელობის დაზიანება, 89-ერთეულით კი მკვლელობა. (იხ.გრაფიკი

---

<sup>1</sup> ნუგზარ გაბრიჩიძე-საოჯახო კონფლიქტის შედეგად ჩადენილი ძალადობითი დანაშაულობა-გამომცემლობა ინტელექტი (-თბილისი 2004).13გვ.

1) ოჯახში ძალადობა ერთ-ერთი სერიოზული და გავრცელებული ძალადობის ფორმაა. იგი მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს და საზოგადოების ყველა ფენას მოიცავს. ოჯახში ძალადობას ახასიათებს ფარული, სპეციფიური და განგრძობადი ხასიათი, რადგან იგი ხორციელდება ოჯახის წევრის ან წევრების მიერ სხვა ოჯახის წევრების მიმართ.<sup>2</sup> ოჯახში ძალადობა ადამიანის უფლებების დარღვევაა და გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით<sup>3</sup>. ძალადობა ადამიანის უფლების დარღვევად აღიარეს, ვინაიდან სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება საერთაშორისო სამართლით გარანტირებული ფუნდამენტური უფლებაა. „სახლი“-ს მიერ ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა, რომ ოჯახური პრობლემების კონფლიქტებისა და ოჯახში ძალადობის ძირითად მიზეზად ეკონომიკური სირთულეები, უმუშევრობა სახელდება. იგი ოჯახის წევრთა (ძირითადად მამაკაცთა) ოჯახური ფუნქციების შესრულებას აფერხებს და თავის მხრივ, ურთიერთობების გართულებას ედება საფუძვლად. კონფლიქტური ოჯახის შენარჩუნებას განაპირობებს საზოგადოებაში არსებული ნორმატული შეხედულება ოჯახის ქონის აუცილებლობაზე, გარდა ამისა, „სახლი“-ს მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ოჯახში ძალადობის სუბიექტად მამაკაცი, ხოლო ყველაზე კონფლიქტურ წყვილად პირველ რიგში რძალ-დედამთილი, შემდეგ ცოლ-ქმარი და მერე სიძე-სიდედრია აღიარებული.<sup>4</sup> „ძალადობის ტერმინი მხოლოდ ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობას გულისხმობდა, მაგრამ ახლა მამაკაცების წინააღმდეგ ძალადობასაც მოიაზრებს, მსოფლიო სტატისტიკური მონაცემებით ოჯახში

---

<sup>2</sup>საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი-სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირებისთვის - გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women)-2014 წელი. 5 გვ.

<sup>3</sup> საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან ოჯახში ძალადობის აღკვეთის ,ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“-საქართველოს 2014 წლის 17 ოქტომბრის კანონი №2697 - ვებგვერდი, 31.10.2014 წ. მე-3 მუხლი.

<sup>4</sup> “ძალადობა ოჯახში – გენდერული დამოკიდებულებების კვლევა” (2002 წ.), “ ოჯახური კონფლიქტების გენდერული ასპექტები” (2003 წ.), “ოჯახური ძალადობა და საზოგადოებრივი აზრი” - არასამთავრობო ორგანიზაცია „სახლის“ კვლევები (2004 წ.).

ყველაზე გავრცელებული სახის ძალადობაა ცოლის ცემა. მის ოთხ ძირითად მიზეზს ასახელებენ, ესენია: 1. ეჭვიანობა 2. ქმრის მიმართ უპატივცემულობა 3. ქმრის, როგორც ოჯახის უფროსის და გამგებლის „უფლება“ - სცემოს ცოლი 4. ალკოჰოლური მდგომარეობა. გარდა ფიზიკური ძალადობისა, ხშირია ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტებიც, ისეთები, როგორიცაა: ცოლის მუდმივი კონტროლი, საკუთარი მშობლებისა და მეგობრებისაგან იზოლაცია; მუქარა, დაშინება, სიტყვიერი შეურაცხყოფა, დამცირება და ა.შ.<sup>5</sup> ოჯახში ძალადობა თავისი არსით ერთ-ერთი ყველაზე რთული, სპეციფიკური და გავრცელებული სოციალურ -სამართლებრივი პრობლემაა, რომელიც სამართალდარღვევათა რიგ ნიშნებს შეიცავს კონფლიქტი უშუალოდ შეეხება თანაცხოვრებით ერთმანეთთან დაკავშირებულ პირებს, ატარებს ლოკალურ და ჩაკეტილ ხასიათს.<sup>6</sup> იგი თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემას წარმოადგენს. ოჯახში ძალადობის მსხვერპლების 80 % ქალები და ბავშვები წარმოადგენენ. საქართველოში ოჯახში ძალადობის სტატისტიკის მიხედვით 2013 წლიდან 2016 წლამდე 60% გაიზარდა ოჯახური ძალადობა, ხოლო 2016 წლიდან 2018 წლის ჩათვლით აღნიშნული მაჩვენებელი 20% შემცირდა. რაც განპირობებული იქნა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული საკანონმდებლო ცვლილებებით და რეფორმებით (იხ.გრაფიკი 2).

ძალადობის მსხვერპლთ არ სურთ განცდილის შესახებ განცხადება. რცხვენიათ რა საკუთარი თავის გამო, არ სურთ ოჯახის „ღალატი“, ეშინიათ შურისძიებისა და აგრესიისა წყენის მიმყენებლის და მათი ახლობლების მხრიდან, არ სჯერათ სამართალდამცავი ორგანოების ეფექტურობის. ქალი ზოგჯერ ვერ ხვდება, რომ წარმოადგენს ოჯახური ძალადობის მსხვერპლს და რომ მას აქვს დაცვისა და დახმარების უფლება. ოჯახში

<sup>5</sup> გაფრინდაშვილი ქეთი, ფხაკაძე რუსუდან, გენდერული პრობლემატიკა საქართველოში, ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 2002

<sup>6</sup> გოგობერიძე გია,ფერაძე მაკა,მიქნაძე გივი,ნოდარ სააკაშვილი-2012.სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენინგებისათვის „ოჯახში ძალადობა და მის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.2012 წელი ქ.თბილისი გაერთიანებული ერების ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში „ფარგლებში „შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს(SIDA) ფინანსური მხარდაჭერით. 5 გვ.

ძალადობის ერთ-ერთ წყაროდ უნდა ჩაითვალოს საზოგადოების ის ადათ - წესები, რომლებიც ქალისა და მამაკაცის განსხვავებულ ქცევას ადგენენ: აქტიურსა და აგრესიულს კაცისთვის, ხოლო მეორე მხრივ მორჩილსა და დამთმობს ქალისთვის. აღნიშნული ქცევა განპირობებულია ტრადიციული აღზრდის სტილით, რომელიც მამაკაცის აგრესიულობას განიხილავს, როგორც პრობლემის გადაჭრის მისაღებ ფორმას: „ბიჭებს წინათ და ხშირ შემთხვევაში ამჟამადაც ასწავლიდნენ რომ ყოფილიყვნენ მიზანსწრაფულები, მიზნის მისაღწევად არ მორიდებოდნენ აგრესიას, ძალის გამოყენებას, ხოლო გოგონებს ასწავლიდნენ, რომ ყოფილიყვნენ მორჩილნი და შეეზღუდათ საკუთარი სურვილები და ინტერესები.

ოჯახური ძალადობა ხშირად გადაეცემა თაობიდან თაობას, თუ ვაჟი ხედავს, როგორ სცემს მამა დედას, ზრდასრულობის ასაკში თავად ახდენს ასეთი ქცევის პროვოცირებას საკუთარ ოჯახში, რადგან იგი ამ პირობებში იყო აღზრდილი. ასეთ შემთხვევას მოიხსენიებენ, როგორც სწავლების თეორიას, რომლის მიხედვითაც ქცევა დაისწავლება.

ქალის მიმართ პირველად განხორციელებული ძალადობის დროს ქალი განიცდის უძლიერეს ემოციურ შოკს. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე ქალის მხრიდან სათანადო რეაგირებისა და შესაბამისი პასუხის შემთხვევაში თითქმის 80 % ძალადობა აღარ მეორდება. თუმცა ასე იშვიათად ხდება. ქალები მიდრეკილნი არიან წინააღმდეგობის განწევის შესახებ გადაწყვეტილება გადადონ იმ იმედით, რომ ის „გონს მოვა“, ის ხომ ყოველთვის ითხოვს პატიებას, ამბობს, რომ „არც კი იცის რა მოუვიდა“. ძალადობის მსხვერპლს ავინყდება, რომ ჩალურჯების გარდა, რომელიც მალე მოშუშდება, ის ვერ იაზრებს ფსიქოლოგიურ ტრამვას, რომლის დაძლევა და მოუკიდებლად არ ძალუძს.

---

<sup>7</sup> მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011 წ." სურვილები და ინტერესები"

ჩნდება ე.წ შეძენილი უძღურების სინდრომი,<sup>8</sup> რის შედეგადაც ვითარდება დეპრესია, საპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მიღების უუნარობა, იზრდება საკუთარი დანაშაულის გრძნობა მომხდარში, ხდება ძალადობის არსის არასწორი გაგება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, პლანეტის ქალთა სიკვდილიანობის დაახლოებით ნახევარის მიზეზი გახდა ძალადობა. მსოფლიოში ქალთა, როგორც მინიმუმ, 20 პროცენტამდე მაინც იყო მოქცეული ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის, სასტიკი მოპყრობის ქვეშ მამაკაცთა მხრიდან. გაეროს-ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ძალადობა ქალთა წინააღმდეგ „წარმოადგენს მათი სიკვდილისა და შრომისუუნარობის ისეთივე სერიოზულ მიზეზს, როგორცაა კიბო. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ძალადობის ქვეშ მოქცეულ ქალს უკეთეს შემთხვევაში ელოდება განქორწინება თუ რასაკვირველია, მას რჩება ძალები დაიწყოს ახალი ცხოვრება. უარეს შემთხვევაში- სიკვდილი, ძალადობრივი ან მუდმივი სტრესის ნიადაგზე შეძენილი დაავადების შედეგად. ოჯახური ძალადობის პრობლემასთან დაკავშირებული მონაცემები ძნელად მოსაპოვებელია რამდენიმე მიზეზის გამო:

- მსხვერპ-ქალებს ეშინიათ აღნიშნულ პრობლემაზე საუბრის.
- სასამართლო გარჩევაში მონაწილეობა ქალისაგან მოითხოვს ნამდვილად გმირულ ვაჟკაცობას .
- მოძალადეები ქალებს უკრძალავენ ამაზე საუბარს.
- ქალები ეკონომიკურ დამოკიდებულებაში არიან მოძალადესთან.

ძალადობის აღსაკვეთად და დამნაშავის მიმართ ზომების გამოსაყენებლად ძალადობის მსხვერპლმა ქალმა პირველ რიგში უნდა მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს. მისთვის პოლიცია წარმოადგენს სამართალდამცავ სისტემასთან მისი

---

<sup>8</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია „საია“-ოჯახური ძალადობა, სოციალურ-პოლიტიკური ასპექტები საერთაშორისო პრაქტიკა და მიდგომები .(2006 წელი) 7-8 გვ

კონტაქტის პირველ და ძირითად წყაროს. ოჯახური კონფლიქტები წარმოადგენს პოლიციის გამოძახების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ მიზეზს.<sup>9</sup>

ხშირად ქალი ოჯახური ძალადობის მსხვერპლი დაინტერესებულია მხოლოდ ინციდენტის შეწყვეტით და არ სურს სასამართლო პროცესის ჩატარება, ამავდროულად არსებობს ფაქტორები, რაც ხელს უშლის მსხვერპლთა ან პოტენციურ მსხვერპლთა მხრიდან პოლიციისთვის მიმართვას: ქალს ემინია რომ მოძალადე არ დაისჯება და აქვს უნდობლობა სამართლის სისტემის მიმართ. ასევე დიდ როლს თამაშობს კულტურული ტრადიციაც-„სირცხვილია ოჯახური პრობლემების საჯაროდ გამოტანა“. ოჯახში ძალადობა არ არის ერთჯერადი ქმედება - ეს არის პროცესი, რომელიც შედგება ძალადობის განმეორებადი ციკლებისაგან და დამყარებულია მოძალადის და მსხვერპლის ურთიერთობაზე<sup>10</sup>. ოჯახში ძალადობა დროში გახანგრძლივებულია და აქვს ზრდის ტენდენცია; ძალადობის სუბიექტები, როგორც წესი, ერთმანეთზე არიან დამოკიდებულები, ამიტომ, უმეტეს შემთხვევაში, ოჯახი მალავს ამ ფაქტს. ოჯახში ძალადობის ურთიერთობების განვითარების და დინამიკის ასახსნელად არსებობს რამდენიმე (უოლკერის, ლანდერბერგერის, დულუეტის და სხვა) მოდელი. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია ლენორ უოლკერის მოდელი - ძალადობის ციკლი, ძალადობის ბორბალი. ამ მოდელის მიხედვით, ციკლის პირველი ფაზა ხასიათდება დაძაბულობის ზრდით: პიროვნებებს შორის დაძაბულობის ესკალაციით, სიტყვიერი შეურაცხყოფითა და მცირე ფიზიკური შეხლა-შემოხლით. ამ პერიოდში მსხვერპლი ცდილობს, დაამშვიდოს პარტნიორი, რომ თავიდან აიცილოს სერიოზული კონფლიქტი. შიში და უსუსურობის განცდა მატულობს იმის მიხედვით, რამდენად სერიოზულია კონფლიქტი. პირველი ფაზა შეიძლება გაგრძელდეს თვეები და წლებიც კი, სანამ დაძაბულობა არ მიაღწევს პიკს და მოხდება სერიოზული ინციდენტი.

<sup>9</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია „საია“-ოჯახური ძალადობა, სოციალურ-პოლიტიკური ასპექტები საერთაშორისო პრაქტიკა და მიდგომები .2006 წელი 7-8 გვ

<sup>10</sup> უურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისთვის-ხათუნა ჯანგირაშვილი 28.02.2014

<https://www.facebook.com/JNGEGeorgia/posts/707623695934569/>

რაც შეეხება მეორე ფაზას, ძალადობის სერიოზული ინციდენტი შეიძლება გავრძელდეს 2-დან 24 საათამდე. ამ ფაზაზე მსხვერპლს არ შეუძლია რაიმე გავლენა მოახდინოს სიტუაციაზე იმის გარდა, რომ დაიცვას თავი და საკუთარი შვილები დაზიანებისაგან. ძალადობის პირველი ფაზის შემდეგ ბოგი მსხვერპლი უმაღვე წყვეტს ურთიერთობას მოძალადესთან, მაგრამ განიცდის მძიმე სულიერ ტრავმას, რომელიც, მას, შესაძლებელია, მთელი ცხოვრება თან გაჰყვეს. მსხვერპლთა უმეტესობა კი ამ ფაქტს მალავს.<sup>11</sup> ხშირ შემთხვევაში, სამწუხაროდ, მსხვერპლი პატიობს თავის პარტნიორს შეურაცხყოფას, აქ უკვე საქმე გვაქვს ციკლის მესამე ფაზასთან. მოძალადე ითხოვს პატიებას და იღებს კიდევ მას, ის იმავე წუთს უცებ იდეალური პარტნიორი ხდება, ხშირად ამ ფაზას „თაფლობის თვის“ ფაზას უწოდებენ.<sup>12</sup> სწორედ აქ იმალება ამ შერიგების საშიშროება. შერიგების პროცესში მსხვერპლს უჩნდება ილუზია, რომ შეიძლება მის ცხოვრებაში ყველაფერი სიკეთისკენ შეიცვალოს - ამას უმტკიცებს პარტნიორიც და ცდილობს, ამაში დაარწმუნოს კიდევ იგი. მაგრამ გადის დრო და დაძაბულობა ურთიერთობებში კვლავ მატულობს, ძალადობის ციკლი მეორდება. ყოველი ციკლით, ძალადობა სულ უფრო და უფრო მძიმე ფორმებს იღებს, ხოლო შერიგების პერიოდი მცირდება და დროის განმავლობაში საერთოდ ქრება.

---

<sup>11</sup> ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისთვის-ხათუნა ჯანგირაშვილი 28.02.2014  
<https://www.facebook.com/JNGEGeorgia/posts/707623695934569/>

<sup>12</sup> კობა ბოჭორიშვილი, მარინა მესხი, ქეთი ხუციშვილი, მაკა ფერაძე, ნოდარ სააკაშვილი, ანა არღანაშვილი, ნატო შავლაყაძე, ნატო ზაზაშვილი (ქ.თბილისი 2010 წელი.) გაერთიანებული ერების ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში „ფარგლებში, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს(SIDA) ფინანსური მხარდაჭერით - 7-გვ.

## თავი 2. ოჯახში ძალადობის გამოვლენის ფორმები

ძალადობა როგორც ქმედება, შეიძლება მრავალი ფორმით გამოიხატოს. საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ ოჯახში ძალადობის ცნებასთან დაკავშირებით ასახელებს ძალადობის შემდეგ სახეებს: ფიზიკური ძალადობა,



ფსიქოლოგიური ძალადობა, სექსუალური ძალადობა, ეკონომიკური ძალადობა და იძულება.<sup>13</sup> არასრულწლოვნის კანონიერი ინტერესების უგულებელყოფა. უმუშევრობა და ფინანსური პრობლემები ხშირად კონფლიქტის მიზეზია და აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავეთ აისახება ოჯახურ ურთიერთობებზეც. „ ისეთ ქვეყნებში, სადაც უმუშევრობის მაღალი დონეა, დანაშაულის, ძალადობის და სხვა სოციალური პრობლემების ზრდა აღინიშნება.“<sup>14</sup> ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, 2013 წელს საქართველოში 291.8 ათასი უმუშევარი აღამიანი იყო. <sup>15</sup> ძალადობის რისკებს ზრდის ქალთა დაბალი ინფორმირება მათი უფლებების შესახებ, ადრეული და იძულებითი ქორწინება და არასაკმარისი ეკონომიკური დამოუკიდებლობა.<sup>16</sup>

## 2.1. ფიზიკური ძალადობა

ფიზიკური ძალადობა-ეს არის ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს.<sup>17</sup> ქალების ნახევარზე მეტი (59 %) მოექცა აგრესიის ქვეშ ინტიმური პარტნიორის (ამჟამინდელი მეუღლე, საქმრო ან საყვარელი) მხრიდან. გათხოვილი ქალების დიდი ნაწილი იმყოფება ფიზიკური ძალადობის პრინციპული შესაძლებლობის სიტუაციაში. ოჯახების 40 %-ზე მეტში ქმარმა ერთხელ მაინც სცემა ცოლს, ყოველ მეათე ოჯახში ქმრებს ჰქონდათ ცოლებზე ფიზიკური ძალადობის მცდელობა, ოჯახები

<sup>13</sup> გოგობერიძე გია, ფერაძე მაკა, მიქანაძე გივი, ნოდარ სააკაშვილი-2012. სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენინგებისათვის - „ოჯახში ძალადობა და მის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. (ქ.თბილისი 2012 წელი) გაერთიანებული ერების ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოს ფარგლებში, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს(SIDA) ფინანსური მხარდაჭერით 20-გვ.

<sup>14</sup> დასაქმებისა და უმუშევრობის ტენდენციები საქართველოში, ნოემბერი 2011

<sup>15</sup> [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=145&lang=geo%20](http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo%20)

<sup>16</sup> ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში ვიზიტის შესახებ, 9 ივნისი, 2016, 7-გვ.

<sup>17</sup> საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. საქართველოს 2017 წლის 4 მაისი კანონი N3105 - ვებგვერდი 25.05.2017 წელი მუხლი-4

რომლებიც „თავისუფალნი არიან ცემისგან“, სადაც ქმარს ერთხელაც არ უცდია ცოლისთვის ფიზიკური შეურაცხოვის მიყენება, შეადგენენ მხოლოდ 45 %. ცოლების ცემა მჭიდროდ უკავშირდება ფიზიკური ზემოქმედების სხვა ფორმებსაც:

- მამაკაცები მიღრეკილნი არიან, კონფლიქტში დაადანაშაულონ ცოლი. ისინი ჩხუბის დანყებაში, რამაც ცოლის ცემა გამოიწვია, თითქმის 5-ჯერ უფრო ხშირად ადანაშაულებენ ცოლს, ვიდრე საკუთარ თავს და 3-ჯერ უფრო ხშირად მიზგმის სახით ასახელებენ ცოლის ცუდ ქცევას, ვიდრე საკუთარს.

- მამაკაცების უმრავლესობა, რომლებმაც სცემეს ქალს, მიიჩნევენ, რომ შედეგად მათ ან შეცვალეს ან უფრო მეტი, გააუმჯობესეს მასთან ურთიერთობა. ამავე დროს ქალების 43 % -მა, რომელთანაც ქმრებმა სცემეს, განაცხადა, რომ ასეთი შემთხვევის შედეგად მათ მისი ეშინოდათ.

- ნაცემი ქალების დაახლოებით ნახევარი თავდასხმის ობიექტი ხდებოდა მაშინ, როცა იყვნენ ორსულად, ჰყავდათ მცირეწლოვანი ბავშვები ან განიცდიდნენ ფიზიკურ თუ მორალურ ტანჯვას, იყვნენ უძღურების მდგომარეობაში.

- გამოკითხული ქალებისა და მამაკაცების მტკიცებით, ქალები გაცილებით უფრო იშვიათად იყენებენ ძალადობას ქმრების მიმართ, ვიდრე ქმრები ცოლების მიმართ და ამ თავდასხმათა შედეგები შეუდარებლად მცირეა. იმ ქალების აბსოლიტური უმრავლესობა, რომლებმაც გამოიყენეს ქმრებზე ძალადობა, თავად იყო მისი მხრიდან ძალადობის მსხვერპლი, ქალების მხოლოდ 3 % დაესხა თავს ქმრებს, რომელთანაც არასდროს არ გამოუყენებიათ მათ მიმართ ძალადობა.<sup>18</sup> საზოგადოებრივი აზრი საკმაოდ ლოიალურია ცოლის ან ინტიმური პარტნიორის ცემის ფაქტების მიმართ. გამოკითხულთა მესამედიდან ნახევარი მზადაა, იპოვოს მიზეზები და გაამართლოს ქმარი, რომელმაც სცემა. როგორც წესი, აგრესორი ქმრის გამართლება ხდება

<sup>18</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია „საია“-ოჯახური ძალადობა, სოციალურ-პოლიტიკური ასპექტები საერთაშორისო პრაქტიკა და მიდგომები .2006 წელი 13-18 გვ.

ცოლისთვის გარკვეული „ბრალის“ მიწერით და იმის მტკიცებით, რომ ქმარს აქვს უფლება, დასაჯოს ცოლი.

ქალებზე ძალადობის ოჯახური ტრადიციები ამა თუ იმ სახით, დამახასიათებელია მუსულმანური ოჯახებისთვის და მას უდიდესი ზიანი მოაქვს. ამ ძალადობით დათრგუნული ახალგაზრდა ქალი თანდათან ეგუება საკუთარ მდგომარეობას და მის ცნობიერებაში მტკიცდება აზრი ქცევის ამდაგვარი სტერეოტიპის გარდაუვალობის შესახებ. XXI საუკუნების მიჯნაზე მთელს მსოფლიოში მნიშვნელოვნად გააქტიურდა ფიზიკური ძალადობის და კერძოდ კი ქალზე ოჯახური ძალადობის პროტესტის ტალღა.

## 2.2 ფსიქოლოგიური ძალადობა

ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობის ნებისმიერი ფორმა მიუღებელია. განსაკუთრებით კი საშიშია ფსიქოლოგიური ძალადობის დინამიკა. თუ ფიზიკური ძალადობა განქორწინების ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს, ფსიქოლოგიური ძალადობა ხშირად ტეხს პიროვნებას, ხდის მას მონად და ქალი ცხოვრობს არასრულფასოვანი ცხოვრებით მუდმივი დეპრესიის ქვეშ. ფსიქოლოგიური ძალადობა ეს არის შეურაცყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას.<sup>19</sup> იგი შეიძლება ჩაითვალოს ძალადობის ფარულ ფორმად, ეს კი პიროვნებას უკარგავს საკუთარი თავის რწმენას, აეჭვებს მას საკუთარ შესაძლებლობებსა და ძალებში, ამასთან ერთდ იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას.<sup>20</sup> შეიძლება ვთქვათ, რომ ძალადობის ამ ფორმას ძალიან დიდი ზიანი მოაქვს და აზიანებს მთლიანად პიროვნებას. ის ყველაზე ძნელად ამოსაცნობი ძალადობის ფორმაა, რადგან არ არსებობს არანაირი ფიზიკური კვალი. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ძალადობის კერა ხშირად ოჯახია და სწორედ მშობლები არიან ის

<sup>19</sup> საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის ,ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ .საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი N3105 -ვებგვერდი 11.07.2018 წელი მუხლი -4

<sup>20</sup> <http://intermedia.ge/სტატია/69358-ფსიქოლოგიური-ძალადობა/2/>

ადამიანები, რომლებიც მიმართავენ ასეთ ქმედებებს ბავშთან ურთიერთობისას. ილუპება პიროვნების შემოქმედებითი აქტიურობა, ქრება ტალატნი და ნიჭი. ადამიანისთვის და საზოგადოებისათვის მეტი ზიანის გამოსავლენია, არადა მისგან ზიანი უდიდესია.<sup>21</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სახის ძალადობა თითქმის ყველა ოჯახშია, განსხვავება არის ხარისხში ის ზოგან მეტად ვლინდება, ზოგან ნაკლებად და მაინც არსებობს გამოსავალი-აუცილებელია ადამიანის უფლებების ფართო პროპაგანდა ქალთა პროგრამების ფარგლებში. როცა ქალი არის ფსიქოლოგიური მსხვერპლი, მოძალადე პრაქტიკულად დაუსჯელია. სისხლის სამართლის პასუხისგებაში ქალმა შეიძლება მისცეს დამნაშავე მხოლოდ მაშინ, როცა მამაკაცი მისი მისამართით იყენებს მკვლელობის, სხეულის დაზიანების მუქარას და არსებობს საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ ეს მუქარა განხორციელდება.

ძალადობისთვის წინააღმდეგობის განწევა ქალისთვის ძალიან რთულია მრავალი მიზეზის გამოც. ხშირად ქალი მატერიალურად და ფსიქოლოგიურად დამოკიდებულია ქმარზე. მასში ის ხედავს ერთადერთ დასაყრდენს და როგორც არ უნდა იყოს სიტუაცია მას არ შეუძლია მასზე უარის თქმა. იგი პრაქტიკულად ხდება თავისი ქორწინების ტყვე. კონფლიქტის შემთხვევაში ძალადობის კატალიზატორს ასევე წარმოადგენს საცხოვრებელი პრობლემა. რამდენადაც ქალს კრიზისულ სიტუაციაში სჭირდება თავშესაფარი, რათა თავიდან აიცილოს შემოდგომი ვიქტიმიზაცია. მამაკაცის უპირატეობსა ძალის მხრივ საშუალებას არ აძლევს ქალს თავი დაიკვას ფიზიკური ძალადობისაგან.

უნივერსის კვლევამ გამოავლინა, რომ საქართველოში საზოგადოების ყველაზე ნაკლებად ესმის ფსიქოლოგიური ძალადობის არსი, მოსახლეობის 64 %-მა სწორად ვერ ამოიცნო ფსიქოლოგიური ძალადობის ყველა ფორმა. განსხვავებით ძალადობის იმ ფორმებისგან როგორებიცაა ფიზიკური ან სექსუალური ძალადობა. ეს

---

<sup>21</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია „საია“-ოჯახური ძალადობა, სოციალურ-პოლიტიკური ასპექტები საერთაშორისო პრაქტიკა და მიდგომები. 2006 წელი 19-გვ.

მეტყველებს იმაზე, რომ ადამიანები არ არიან ინფორმირებულნი. პირველ რიგში ისინი ვერ იაზრებენ საკუთარ საქციელებს და იმ შედეგებს, რაც შეიძლება ამან სხვას მოუტანოს. სწორედ მშობლების მაქსიმალური ინფორმირებულობა შეიძლება ჩავთვალოთ ფსიქოლოგიური ძალადობის აღმოფხვრის წინაპირობად. ამიტომ მნიშვნელოვანია გაგაცნოთ ის შედეგები, რომლებიც შესაძლოა გამოიწვიოს ფსიქოლოგიურმა ძალადობამ:

- დაბალი თვითშეფასება
- დეპრესია
- შფოთვა
- თვითმკვლელობისკენ მიდრეკილება
- ქცევითი პრობლემები სკოლაში
- ბავშვსა და მშობელს შორის კავშირის შესუსტება
- ალკოჰოლიზმი, ნარკომანია

თუმცა ეს ჩამონათვალი რა თქმა უნდა სრულად არ გვაჩვენებს იმ ფატალურ შედეგებს, რომლებსაც იწვევს ფსიქოლოგიური ძალადობა, ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ბავშვი უნდა იზრდებოდეს თბილ და მეგობრულ გარემოში, ის ჩვენი თითოეული სიტყვიდან უნდა ხვდებოდეს, რომ ჩვენ ის გვიყვარს და მას ისე არ უნდა მოვექცეთ და მივმართოთ თითქოს ის ჩვენი შვილი კი არა მტერი იყოს. უნდა მივცეთ მათ საშუალება, გაიზარდონ სრულფასოვანი ადამიანები, ჩვენ კი უნდა ვიცოდეთ, რომ მათდამი მოპყრობა ამას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს.

### 2.3. იძულება

იძულება ეს არის ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.<sup>22</sup> დასჯად ქმედებას წარმოადგენს ადამიანისათვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა ე.ი მისი ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან თავის შეკავება მის უფლებას წარმოადგენს. ფსიქიკური იძულება შეიძლება გამოიხატოს მუქარაში, ხოლო ამ დანაშაულის შემადგენლობა სახეზეა, თუ პირს აიძულებენ, შეასრულოს ან არ შეასრულოს ისეთი მოქმედება, რომლის განხორციელება ან მისგან თავის შეკავება მისი უფლებაა და კანონით მისი გადასაწყვეტია, ამ მოქმედებას განახორციელებს თუ არა, ამდენად ქმედების ამ დანაშაულად დაკვალიფიცირებისთვის აუცილებელია, რომ შეზღუდვა იყოს უკანონო, ხოლო ქმედება მსხვერპლის ნება სურვილის საწინააღმდეგო.

#### 2.4. სექსუალური ძალადობა

სექსუალური ძალადობა – სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ. ქმრის შესაძლებლობები, დაკავდეს ცოლ-ქმრული სექსით მისი სურვილისამებრ, ქალებისა და მამაკაცების მიერ ფასდება თითქმის ოთხჯერ მეტად, ვიდრე ცოლის შესაძლებლობები. მამაკაცები 2-ჯერ უფრო ხშირად, ქალებთან შედარებით საყვედურობენ თავიანთ „ნახევარს“ იმის გამო, რომ ისინი ცუდათ ან ნაკლებად

---

<sup>22</sup> საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი N3105 -ვებგვერდი 11.07.2018 წელი მუხლი-4

კავდებიან სექსით. ძირითადად ეს საყვედურები მოდის ქმრებისგან, რომელთაც მეტი შესაძლებლობები გააჩნიათ ცოლთან სექსით დაკავებისათვის.<sup>23</sup>

ქალებისა და მამაკაცების 70 %-ზე მეტი არ თვლის უპირობოდ აუცილებლად იმას, რომ ცოლ-ქმრის სექსში გათვალისწინებული იყოს ცოლის სექსუალური სურვილები და მოთხოვნები: გამოკითხულთა 43 % მიიჩნევს, რომ ქალმა უმჯობესია, უარი არ უთხრას ქმარს სექსზე მიუხედავად იმისა, მას ეს სურს თუ არა, რესპოდენტთა 38 % არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ქმართან სექსით დაკავება საჭიროა მხოლოდ მაშინ, როცა თავად ქალი იმედოვნებს სიამოვნების მიღწევას. ხოლო გამოკითხულთა დაახლოებით მესამედს მიაჩნია, რომ ქორწინებაში სექსუალური სიამოვნება ქალისთვის არ არის ისე მნიშვნელოვანი როგორც მამაკაცისთვის. გამოკითხულთა ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ ქორწინებაში გაუპატიურება პრინციპში შეუძლებელია თითქმის ყოველი მეხუთე ქალი წარმოადგენს ქმრის მხრიდან თუნდაც ერთ-ერთი სახის სექსუალური ძალადობის მსხვერპლს.

## 2.5. ეკონომიკური ძალადობა

ეკონომიკური ძალადობა ეს არის ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფას, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას.

ქალების ნახევარზე მეტი ექცევა ეკონომიკური ძალადობის სხვადასხვა ფორმის ქვეშ, მესამედზე მეტი იძულებულია, მუდმივად ან დროდადრო სთხოვოს ქმარს ფული ან ანგარიშს აბარებენ ქმრებს ყველა ან უმეტესი ხარჯის შესახებ. ასეთი ქალების წილი პრაქტიკულად ერთნაირია სხვადასხვაგვარი მატერიალური მდგომარეობის მქონე

---

<sup>23</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია „საია“-ოჯახური ძალადობა, სოციალურ-პოლიტიკური ასპექტები საერთაშორისო პრაქტიკა და მიდგომები. 2006 წელი 11-გვ.

ოჯახებში. ოჯახში ქმრებს ყოველთვის აქვთ თავისუფალი ფული, რომელთა დახარჯვაც შეუძლიათ საკუთარ თავზე მაშინ, როცა ქალებს ასეთი შესაძლებლობები არ აქვთ. ყოველ მეხუთე ქალს ქმარი ან აყვედრის მის კმაყოფაზე ყოფნას ან ქალის სამუშაოს მნიშვნელობა ძალიან მცირდება. ყოველი მეოთხე ქალი შეეჩეხა ეკონომიკური გენოლის ღია ფორმებს, მათ შორის „ეკონომიკურ“ აკრძალვებსა და მუქარას. ასეთი სახის საფრთხისა და შეურაწყოფის რისკი მაღალია ღარიბი ოჯახების წარმომადგენელ ქალებში ან ქალებში, რომელთა შემოსავალიც ქმართან შედარებით უფრო დაბალია. ძალადობის მომატებული დონე მჭიდროდ უკავშირდება საოჯახო საქმეების არათანაბარ განაწილებას (ქალი თავის თავზე იღებს საოჯახო სამუშაოს მთლიანად და ძირითად ტვირთს) და ოჯახის ბიუჯეტის, რომლის დროსაც მამაკაცი ახდენს ხარჯების რეგლამენტირებას - „ცოლს აძლევს ფულის ნაწილს“. ქალების 13 % იმყოფება სასტიკი ეკონომიკური ძალადობის პირობებში. ქალები განიცდიან ქმრების მხრიდან პიროვნების შეურაცმყოფელ კრიტიკას „ცუდი ცოლი“, ცუდი ხასიათი, ცუდი დიასახლისი, სულელი და სხვა განცხადებით კი ქმრებმა მათ მიმართ გამოიყენოს სხვადასხვას სახის აკრძალვა და მუქარა.<sup>24</sup>

ყველაზე გავრცელებული აკრძალვა, რომელთანაც შეხება აქვს ყოველ მეხუთე ქალს, არის გადაადგილების შეზღუდვა.

ეკონომიკური ძალადობა ოჯახში ძალადობის ერთ-ერთი ფორმაა და ეკონომიკურ სიკეთეებზე, სხვადასხვა რესურსზე წვდომის შეზღუდვას გულისხმობს. ამგვარი ძალადობა საქართველოს კანონმდებლობაში განმარტებულია როგორც ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას. პრაქტიკაში ოჯახში ეკონომიკური ძალადობის

---

<sup>24</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია „საია“-ოჯახური ძალადობა, სოციალურ-პოლიტიკური ასპექტები საერთაშორისო პრაქტიკა და მიდგომები .2006 წელი 9-10 გვ.



მხვერპლნი უმეტესად ქალები არიან. ძირითადი მიზეზი არსებული უთანასწორო მდგომარეობაა.<sup>25</sup> ქალის დაბალი შემოსავალი, მის საკუთრებაში ქონების არარსებობა, ადრეულ ასაკში ქორწინება და განათლების ნაკლებობა უფრო მეტად ამძაფრებს ოჯახში ძალადობას. ეკონომიკური ძალადობის მთავარი მიზეზი არის ქვეყანაში არსებული გენდერული უთანასწორობა და საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპული შეხედულებები. ამ პრობლემას ამწვავებს ისიც, რომ საქართველოში, სამწუხაროდ, დღემდე, თანასაკუთრება, ოჯახის საკუთრება, მემკვიდრეობა გადადის ვაჟ შვილზე და არა ქალზე. კანონმდებლობა ამ მხრივ მონწესრიგებულია, მაგრამ ეს არის პრობლემა, რომელიც არსებობს საზოგადოებაში. ამ ყველაფრის გამო ქალები იძულებულნი არიან მოითმინონ სხვა ძალადობაც, სანამ ის არ მიაღწევს უკიდურეს ფორმებს, როგორც შეიძლება იყოს ჯანმრთელობის დაზიანება და სხვადასხვა სასტიკი მოპყრობა. საქართველოში ხშირია შემთხვევები, როცა ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფის წყარო არის ქალი, თუმცა შემოსავალს მაინც მამაკაცი განკარგავს, ეს ცალსახად არის ეკონომიკური ძალადობა. მაგალითად, უცხოეთში სამუშაოდ წასული ქალები შემოსავლის დიდ ნაწილს უგზავნიან მეუღლეს ან პარტნიორს, რომელიც თანხას საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგავს. რთულია იმის თქმა, რომ ეკონომიკური ძალადობა ფიზიკურ ძალადობაზე ნაკლებად აუტანელია, მითუმეტეს, რომ, როგორც წესი, ძალადობის არც ერთი ფორმა არ ხდება ცალკე და მას სხვადასხვა ტიპის ძალადობა ახლავს თან. 2013 წლის მონაცემებით, საქართველოში ქალების ეკონომიკური აქტივობის დონე 20%-ით ჩამორჩება კაცებისას. ეკონომიკურად ძლიერი ქალები ქმნიან უფრო ჯანსაღ და განათლებულ საზოგადოებას/მომავალს. Catalyst-ის 2013 წლის კვლევის მიხედვით, კომპანიების მოგება, რომელთან მმართველ რგოლში ქალების მაღალი წარმომადგენლობა აქვთ, 35%-ით მეტია. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) <sup>26</sup> 2017 წლის მონაცემებით, ბოლო 6 წლის განმავლობაში საქართველოში ქალები ყოველთვიურად საშუალოდ 318 ლარით ნაკლებს

<sup>25</sup> <https://lesbi.ge/ka/campaigns/16-days/i997/> lesbi.ge v3,2017 0.2713

<sup>26</sup> <http://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home.html>

გამოიმუშავებენ, ვიდრე კაცები. 2014 წელს ქალების საშუალო ხელფასი კაცების ხელფასზე დაახლოებით 39%-ით ნაკლები იყო. ამავე კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა 52% ფიქრობს, რომ ქალი ვერ იქნება ისეთივე წარმატებული კარიერაში, რადგან ოჯახის გამო დიდ დროს ვერ დაუთმობს მას. 74% კი იზიარებს აზრს, რომ ქალი უფრო მეტად იმით ფასობს, თუ როგორი ოჯახი აქვს და არა იმით, რა წარმატება აქვს სამსახურში. საქართველოს ოჯახური ძალადობის 2013-2018 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით რეგიონებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ქ.თბილისში, იმერეთში-რაჭა-ლეჩხუმსა და კახეთში, დაფიქსირდა. (იხ.გრაფიკი 4)

## 2.6. სტრესი, როგორც ძალადობის გამომწვევი ერთ-ერთი ფაქტორი

სტრესი, როგორც ძალადობის გამომწვევი ერთ-ერთი ფორმაა. სტრესს იწვევს ძალიან ბევრი მიზეზი, ყველა ადამიანში ინდივიდუალურადაა გამომწვეული სტრესის ფორმა, თუმცა ყველაზე გავრცელებულ მიზეზს წარმოადგენს ახლობელი ადამიანის გარდაცვალება ან ავადმყოფობა, ასეთ დროს, განსაკუთრებულ უკანსაკნელ შემთხვევაში, ადამიანი ხდება აგრესიული და შეიძლება მისი აგრესია გადაიზადროს ძალადობაში. ასეთ ადამიანებს არ უნდა ვერიდოთ, პირიქით უნდა ვეცადოთ მათ დახმარება გავუწიოთ, მაგალითად მათი ასეთი მდგომარეობიდან გამოყავანა შეიძლება რაც არ უნდა გავიკვირდეთ, ბავშვების მეშვეობით, ასეთ ადამიანებზე ჩატარდა კვლევა და ყველაზე მეტად მათი „გამოჯანმრთელება“ შეუძლიათ ბავშვებს, მათი გულწრფელი ქცევებით.<sup>27</sup> ახლა განვიხილოთ ისეთი შემთხვევა, როდესაც მშობლების სტრესის გამო ხდება ბავშვზე ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა, არა მარტო საზღვარგარეთის ქვეყნებშიც, საქართველოშიც ვხვდებით მსგავს ფაქტებს, როდესაც მშობლებს აქვთ დაძაბული ურთიერთობა, ზოგჯერ უმუშევრობის, ეკონომიკური სიღუბეჭირის ან ლალატის

<sup>27</sup> Shonkoff, J.P., Garner, A.S. The Committee on Psychosocial Aspects of Child and Family Health, Committee on Early Childhood, Adoption, and Dependent Care, and Section On Developmental and Behavioral Pediatrics. (2012). The lifelong effects of early childhood adversity and toxic stress. Pediatrics. 129:e232-e246.

გამო, რა ხდება ამ დროს? უმეტესწილად ასეთი ადამიანები ძალადობენ ბავშვებზე, რადგან მათ არ შეუძლიათ გააკონტროლონ საკუთარი ქცევები. სამწუხაროდ, ხშირად ვხვდებით სტრესიგან გამომწვეულ ძალადობის ფაქტებს.<sup>28</sup> კვლევა ბავშვთა მიმართ არასათანადო მოპყრობის შესახებ გვიჩვენებს, რომ დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პრევენციის შედეგად მიღწეულ იქნა ისეთი დონის დეტალები, როგორებიცაა მსხვერპლთან პრაქტიკულად და მოხერხებულად შექცობა არა მხოლოდ ემოქმედათ ბავშვთა უფლებების ფარგლებში, არამედ მათთან ემოქმედათ საკუთარი გამოცდილებითაც. მეცნიერებმა დაადგინეს, იმისათვის, რომ ძალადობის მსხვერპლი ბავშვები არ გახდნენ თავად მოძალადეები, საუკეთესო საშუალებაა მათ მისცეს სახელმწიფომ ამ კუთხით განათლება და ჰქონდეს იმაზე მეტი ინოფორმაცია, ვიდრე აქამდე, იქიდან გამომდინარე, რომ საზღვარგარეთის პრაქტიკაში ხშირია ბავშვთა მიმართ ძალადობა ოჯახში, აუცილებელია ისინი ჩამოვაცვილოთ მოძალადე ოჯახებს და გადავცეთ სოციალურ სამსახურს, ეს პრაქტიკა საქართველოშიც ნელ-ნელა იწერება.<sup>29</sup>

## 2.7 არასწორი აღზრდა, როგორც ძალადობის გამომწვევი მიზეზი

ზოგიერთმა რესპონდენტმა ძალადობის მიზეზად მისი პარტნიორის ძალადობრივ გარემოში აღზრდა დაასახელა: - ნორმალურ ოჯახში თუ გაიზარდა ბავშვი ის შემდგომში რამემ თუ არ შეუშალა ხელი ასეთ რამეს არ ჩაიდენს. თუ ჯანსაღ გარემოში გაიზარდა ბავშვი და შემდეგ გახდა მოძალადე, ამისთვის ალბათ ბევრი სხვა მიზეზიც უნდა არსებობდეს. (თავშესათვარში მცხოვრები მსხვერპლი) უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სხვა ჯგუფებში ძალადობის მიზეზად როდესაც აღზრდას ასახელებდნენ რესპონდენტები გულისხმობდნენ ოჯახში ძალადობრივ გარემოს, აღზრდაში არც ერთი ჯგუფი არ

<sup>28</sup> [www.unicef-irc.org/article/984-stress-as-a-factor-in-family-violence](http://www.unicef-irc.org/article/984-stress-as-a-factor-in-family-violence)

<sup>29</sup> Washington State Family Policy Council (2012). Summary of ACE studies downloaded from <http://www.fpc.wa.gov/publications.html> - These statistics are a summary from more than 50 peer-reviewed scientific studies from the ACE cohort, which has followed over 17,000 adults over time to assess the long-term effects of adverse childhood experiences including: sexual abuse, physical abuse, emotional abuse and neglect, physical neglect, having parents who abused alcohol or drugs, or father who beat the mother, parents who separated or divorced, parents with mental illness, or a family member who was imprisoned. Data from countries all over the world demonstrate similar effects

გულისხმობდა სხვა ინსტიტუციებს სკოლას, საზოგადოებას და ა.შ აღზრდაში ასევე არ იგულისხმებოდა ფასეულობების გადაცემა. ერთადერთი აქტივისტების ჯგუფში გამოვლინდა არასწორი მენტალიტეტის და ცნობიერების როლი აღზრდის პროცესში, როგორც ძალადობის მიზეზი: „ძალადობას ახორციელებენ ალბათ იმიტომ რომ აღზრდილები არ არიან კარგად, მენტალიტეტიც, ცნობიერება, რომ მეტი ვარ ქალზე, ოჯახში ზრდიან, ისე, რომ ის კაცია ის მართალია და შენ უნდა გაჩუმდე, უნდა მოუთმინო, ის უფრო შენზე მაღლა დგას, ეს მენტალიტეტი და ცნობიერება მთელი ცხოვრება გასდევს კაცს, რაც საზიანოა ქალისთვის და თვითონ მამაკაცისთვისაც.<sup>30</sup> როლების არასწორი გადანაწილება ოჯახში, როცა მამაკაცი აღიქმება მთავარ პერსონად და უგულებელყოფილია ქალთან თანასწორი მდომარეობა. ხშირად მამაკაცები თავს თვლიან „უფროსებად“ და მორჩილებას მოითხოვენ ოჯახის წევრებისგან. „ქართულ საზოგადოებას ახასიათებს ოჯახური იერარქია და სუბორდინაცია ოჯახის წევრებს შორის, რომელიც ქალისა და კაცის როლებზე ხშირ შემთხვევაში პატრიარქალურ წარმოდგენებს ეფუძნება. (მამაკაცი, როგორც შემომტანი და ოჯახის უფროსი; ქალი კი მორჩილი მეუღლე და დიასახლისი).<sup>31</sup>

## 2.8 სიმთვრალე და ნარკოტიკი როგორც ძალადობის გამომწვევი ფაქტორი

თავმესაფარში მცხოვრებ ქალებს შორის უფრო მეტად გამოვლინდა ალკოჰოლი და ნარკოტიკები, როგორც ძალადობის მაპროვოცირებელი, მაგრამ ეს ფაქტორები უფრო როგორც საბაბი ისეა განხილული, რადგან შემდგომ მოძალადის დახასიათებისას უფრო

---

<sup>30</sup> ბახუტაძე დ.ვისი ან რისი ბრალია ოჯახში ძალადობა?! -ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი 2010, 7-9გვ

<sup>31</sup> კვლევის ანგარიში, საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში, თბილისი, 2013

მეტად გარემოს, რომელში ოჯახი იგულისხმება და სოციალურ პრობლემებს და ამით გამომწვეულ ფსიქიკურ პრობლემებს ასახელებენ, ასევე ამ ჯგუფშიც ფიგურირებს დედამთილი: - მიზეზს ვერ მეუბნებოდა ცემის ის იყო “კაიფში“ ან მოვრალი, არ იყო ფსიქიკურად განონასწორებული, მემუქრებოდა დანით და იარაღით. (თავშესაფარში მცხოვრები მსხვერპლი ქალი) მიუხედავად იმისა, რომ დევნილი ქალების ჯგუფშიც არ გამოვლინდა მნიშვნელოვანი განსხვავება და ძალადობის მიზეზად კვლავ ფსიქიკური

პრობლემები გამოვლინდა ამ ჯგუფში უფრო მეტად გამოაშკარავდა მსხვერპლის დადანაშაულების ტენდენცია. ამ ჯგუფში უფრო მეტად საუბრობენ იმაზე, რომ ქალმა უნდა ბევრი რამ მოუთმინოს მეუღლეს და არ გამოიწვიოს ძალადობა. ბევრ რამეში შეიძლება ქალიც დაადანაშაულო.“ მე მგონია, რომ უნდა გაუგო შენს მეუღლეს, რაც არ მოსწონს და არ სიამოვნებს, არ გააკეთო და ამით ოჯახი შეინარჩუნო“. ეთნიკური უმცირესობის ქალების ჯგუფში გამოვლინდა ადრე გათხოვების ტრადიცია, როგორც ძალადობის გამომწვევი მიზეზი თითქმის ყველა რესპონდენტი საუბრობს ამ საკითხზე. - აზერბაიჯანულ ოჯახებში ხშირია შემთხვევა, როდესაც გოგონას არ უნდა გათხოვება მასზე, ვისაც ოჯახი აყოლებს, მაგრამ მას ამის გაკეთებას აიძულებენ. აქტივისტ ქალების ჯგუფში პირველად გაიჟღერა ძალაუფლების საკითხმა, როგორც ძალადობის გამომწვევმა მიზეზმა, აქტივისტებმა დაასახელეს მამაკაცების მხრიდან ძალაუფლების მოპოვების მცდელობა, როგორც ძალადობის მიზეზი. -როგორც აღვნიშნე ძალადობა არის გავლენის, ძალაუფლების მოპოვების მცდელობა მეორე ადამიანზე და როდესაც აზრთა სხვადასხვაობაა ამაზე, ან არის “იგნორი“ ხდება კონფლიქტი და კონფლიქტი წარმოშობს ძალადობას. ასევე აქტივისტი ქალების ჯგუფში გაიჟღერა ეჭვიანობა, როგორც ძალადობის გამომწვევი მიზეზი: ძირითადი მიზეზი ძალადობის არის კაცის არასრულყოფილების შეგრძნება და კიდევ ეჭვიანობა. საბოლოოდ დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ქალებს შორის არ არის ერთსულოვნება ძალადობის გამომწვევ მიზეზებზე, ასევე ერთი და იგივე რესპონდენტი სხვადასხვა მიზეზს ასახელებს

ძალადობის გამომწვევად, მაგრამ ძირითადი ტენდენცია მაინც ოჯახში არასწორი აღზრდით და ასევე მიძიმე სოციალური ფონით შექმნილი მოძალადის ფსიქიკური მდგომარეობა და ამით გამომწვეული ძალადობა დასახელდა. თუმცა ზოგიერთ ჯგუფში მაინც გამოვლინდა 10 განსხვავებული პოზიციები- ეთნიკური უმცირესობის ქალები აქტიურად საუბრობენ ადრე გათხოვების პრაქტიკაზე და ამით გამომწვეულ ძალადობის ფაქტებზე, ასევე აქტივისტი ქალების ჯგუფშიც გამოვლინდა გარკვეული თავისებურებები ისინი საკითხს უფრო ფართო ჭრილით განიხილავენ და ზოგად შეფასებებს აკეთებენ. თუ თვისობრივ მონაცემებს შევადარებთ რაოდენობრივ მონაცემებს დავინახავთ გარკვეულ დამთხვევას, რაოდენობრივში, ისევე როგორც, თვისობრივ კვლევაში რესპონდენტთა 51,3% ძალადობის მიზეზად სიმთვრალეს ხოლო 25,6% ფინანსურ პრობლემებს, ქალების მიერ დასახელებულ სხვა მიზეზებს შორისაა ეჭვიანობა 21,9%, მამაკაცის უმუშევრობა 17,3%, ქალი უარს ამბობს სექსზე 11%.

## 2.9. ოჯახში ძალადობის სუბიექტები და რისკ-ჯგუფები

ოჯახში ძალადობის, ისევე როგორც, ზოგადად, ძალადობის შემთხვევაში, არსებობს სამი კომპონენტი:

1. მსხვერპლი
2. მოძალადე
3. ქმედება (ძალადობა)

ოჯახში ძალადობის შესახებ მსჯელობისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ძალადობის განმხორციელებელ სუბიექტებსა და პირს, რომელიც განიცდის ძალადობრივ ზემოქმედებას (ობიექტს).<sup>32</sup> აღნიშნული თვალსაზრისით „ოჯახში

---

<sup>32</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი-სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირებისთვის -გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women)-2014 წელი.5 გვ.

ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების შესახებ „საქართველოს კანონი გვაძლევს, როგორც მოძალადის, ასევე მსხვერპლის დეფინიციის დეტალურ განმარტებას, კერძოდ აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის მიხედვით: ქალი, აგრეთვე ოჯახის ნებისმიერი წევრი, რომელთა კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები დაირღვა უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ან სექსუალური ძალადობით ან იძულებით და რომლებსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებულმა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა (შემდგომ – მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი). მსხვერპლად მიიჩნევა აგრეთვე არასრულწლოვანი, რომლის კანონიერი ინტერესები უგულებელყოფილია და რომელსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა.<sup>33</sup>

მსხვერპლი არის ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა ან იძულება, ხოლო მოძალადე–ოჯახის წევრი, რომელიც არღვევს ოჯახის სხვა წევრის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური ძალადობით ან იძულებით. მოძალადედ მიიჩნევა აგრეთვე ოჯახის წევრი ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალის მიმართ გენდერული ნიშნით ახორციელებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სექსუალურ ან

---

<sup>33</sup> საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი N3105 - ვებგვერდი 11.07.2018 წელი მუხლი-4

ეკონომიკურ ძალადობას ან იძულებას.<sup>34</sup> მოძალადედ მიიჩნევა აგრეთვე სხვა პასუხისმგებელი პირი ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც არღვევს სამართლებრივი აქტის ან სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების საფუძველზე ან მათ გარეშე მასთან ფაქტობრივად მყოფი/მცხოვრები არასრულწლოვნის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური ძალადობით ან იძულებით;

ორივე განმარტებაში ხაზგასმულია, რომ მოძალადეც და მსხვერპლიც არიან „ოჯახის წევრები“. შესაბამისად ოჯახში ძალადობის სუბიექტისა და ობიექტის განხილვისას უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს ვინ შეიძლება მოიაზრებოდეს ოჯახის წევრად. ამ მხრივ „ოჯახში ძალადობის აღკვეთ, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონი იძლევა შესაბამის განმარტებას და ოჯახის წევრად აღიარებს პირთა საკმაოდ ფართო წრეს კერძოდ: დედას, მამას, პაპას, ბებიას, მეუღლეს, შვილს, შვილობილს, მშვილებელს, მშვილებლის მეუღლეს, ნაშვილებს, მიმღებ ოჯახს (დედობილს, მამობილს,) შვილილიშვილს, დას, ძმას, მეუღლის მშობლებს, სიძეს, რძალს, ყოფილ მეუღლეს, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებს და მათი ოჯახის წევრებს , მეურვეს.<sup>35</sup>

არსებული შეხედულებების მიხედვით მოძალადისათვის დამახასიათებელია შემდეგი თვისებები: ა) მოძალადე ხშირად ზემოქმედებს მსხვერპლზე, რომ არ დაუშვას კონფლიქტში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა ჩარევა. ბ)ზოგჯერ მოძალადე თავს მსხვერპლად წარმოგვიდგენს, რომელსაც შეურაცხოვნ და იძულებულს ხდიან მიმართოს ძალადობას. გ)მოძალადე ძალადობის სხვადასხვა ფორმას მიმართავს. დ) მოძალადის მოქმედებები შეიძლება მოიცავდეს ისეთ

---

<sup>35</sup> საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის ,ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ .საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი N3105 -ვებგვერდი 11.07.2018 წელი მუხლი-4



მხასიათებელს, როგორცაა შეშინება და მანიპულირება, იზოლაცია და თავსუფლების აღკვეთა, ფულის ან საკვების მიწოდებაზე უარის თქმა, ბავშვებზე ძალადობა.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მოქმედი კანონმდებლობის ზრუნვისა და დაცვის მთავარი ობიექტია მსხვერპლი.<sup>36</sup> მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრა და მისი დაცვის სამართლებრივი და სოციალური გარემოს შექმნა კანონმდებლის უმთავრეს ამოცანას შეადგენს, ამასთან აღსანიშნავია რომ ძალადობის მსხვერპლის გარშემო არსებული სოციალური გარემო უმეტეს შემთხვევაში ართულებს მისდამი გულწრფელი თანაგრძნობის გამოხატვას და საკითხის გადაჭრას, ქალი, რომელიც პარტნიორის ძალადობის მსხვერპლი გახდა და ცდილობს, თავისი პრობლემები სხვას გაანდოს, ხშირად მწარედ იმედგაცრუებული რჩება. ამის ერთ ერთი მიზეზი არის ის, რომ ასეთი ქალი ზოგიერთისთვის საკუთარი მავნებლობისა და დანაშაულის, ხოლო სხვათათვის საკუთარი სისუსტისა და მარცხის შესენების ფუნქციას ასრულებს. ამიტომაც ძალადობის მსხვერპლ ქალს უფრო ხშირად ჩვეულებრივი ოჯახური პრობლემების მქონე ადამიანად აღიქვამენ. მიაჩნიათ რომ მისი ბრალია მსხვერპლი რომ გახდა. ოჯახური ძალადობა ხშირად სიკვდილით მთავრდება. სწორედ 2014 წელს მოხდა საზარელი ტრაგედია ილია უნიში, როდესაც ყოფილმა მეუღლემ მოკლა 33 წლის მაკა წივნივაძე. " თვითმხილველთა გადმოცემით, მამაკაცი დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში უნივერსიტეტის აუდიტორიებში ეძებდა ყოფილ მეუღლეს. ბოლოს იპოვა და დერეფანში გაიყვანა სალაპარაკოდ. ხმაურიანი კამათის შემდეგ კი ესროლა იარაღი და შემდეგ თავი მოიკლა. მაკა წივნივაძის ტრაგედია თავისი ფორმით განსაკუთრებით შემზარავი იყო - მკვლელობა მოხდა დედაქალაქის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში, ლექციების მსვლელობისას, სტუდენტების თვალწინ, მოკლული ლექტორი საბედისწერო გასროლის წინ საშველად სტუდენტებს ეძახდა იგი "ბრიტანულ

<sup>36</sup> გოგობერიძე გია, ფერაძე მაკა, მიქანაძე გივი, ნოდარ სააკაშვილი-2012. სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენინგებისათვის - „ოჯახში ძალადობა და მის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. 2012 წელი ქ.თბილისი გაერთიანებული ერების ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში „ფარგლებში „შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს(SIDA) ფინანსური მხარდაჭერით 23-გვ.

საბჭოში" მუშაობდა და პარალელურად ილიაუნში ინგლისურის ლექციებს კითხულობდა. მისი ახლობლებისა და ოჯახის ცნობით, მისი ყოფილი მეუღლე ლაშა მალრაძე ნასამართლევა და ის პატიმრობიდან ამნისტიით იყო გათავისუფლებული. მაკა წივნივაძეს კი მცირეწლოვანი შვილი დარჩა. "ეს მამაკაცი წივნივაძეს ყველა აუდიტორიაში დაეძებდა. როდესაც იპოვა, მას გარეთ გასვლა სთხოვა. მ. წივნივაძე მის სურვილს დაემორჩილა, თან აერობოლი აიღო, რომელსაც თავდაცვის მიზნით მუდამ თან ატარებდა. აუდიტორიიდან გასვლის შემდეგ დაახლოებით 2 წუთის განმავლობაში ყოფილ მეუღლეებს შორის ხმაურიანი შელაპარაკება იყო. შემდეგ მ. წივნივაძემ დასახმარებლად სტუდენტებს უხმო. სანამ ბავშვები ლექტორის მისახმარებლად გავიდნენ, გაისმა სროლის ხმაც. ცეცხლსასროლი იარაღით ორი ჭრილობა მიაყენა - ერთი თავში და მეორე კისერში, შემდეგ კი თავი მოიკლა. ისინი დაახლოებით თვენახევრის დაშორებულები იყვნენ, თუმცა ყოფილი მეუღლე მას ხშირად უგზავნიდა მუქარის შემცველ წერილობით შეტყობინებებს. მაკა წივნივაძემ პოლიციას ორჯერ მიმართა, რომ მას ყოფილი მეუღლე ემუქრებოდა. წივნივაძე განცხადების დასაწერად პირველად 22 სექტემბერს, რუსთავის განყოფილებაში, მეორედ 26 სექტემბერს კი, დიდუბე-ჩუღურეთის განყოფილებაში იმყოფებოდა. "მარიამ წივნივაძემ პოლიციას ორჯერ მიმართა, მათ შორის პირველად რუსთავის განყოფილებას და განაცხადა, რომ მეუღლე ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა. აღნიშნულზე პოლიციამ რეაგირება მოახდინა, შედგა გასაუბრების ოქმები, როგორც მარიამ წივნივაძესთან, ისე მის მეუღლესთან. წივნივაძე ითხოვდა, რომ მეუღლეს აღარ შეეწუხებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, შემაკავებელი ორდერის გამოწერა მომხდარიყო. ლაშა მალრაძემ პირობა დადო, რომ აღარ შეაწუხებდა ყოფილ მეუღლეს და ბოდიში მოიხადა. მეორედ მარიამ წივნივაძემ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ განყოფილებას მიმართა და განაცხადა, რომ ლაშა მალრაძე შეურაცხმყოფელ მესიჯებს უგზავნიდა და თან შერიგებას სთხოვდა. მალრაძე 29 სექტემბერს ამავე განყოფილებაში დაიბარეს და გაფრთხილება მისცეს, რომ თუ ყოფილ მეუღლეს ისევ შეაწუხებდა, კანონის შესაბამისად აგებდა პასუხს.

ამის შემდეგ მარიამ წიფნივაძეს პოლიციისთვის აღარ მიუმართავს", ყოფილი ქმარი მას შერიგებას სთხოვდა და თან ემუქრებოდა სიცოცხლის მოსწობით თუ არ შეურიგდებოდა.<sup>37</sup> აღნიშნული მაგალითი ცხადყოფს თუ რაოდენ ზერელე დამოკიდებულება იყო ოჯახში ძალადობის საკითხთან მიმართებაში, 2014 წლიდან მოყოლებული არაერთი ცვლილება შევიდა ქართულ კანონმდებლობაში, რამდენჯერმე გამკაცრდა შემაკავებელი ორდერის დარღვევისთვის გათვალისწინებული სანქცია, დღეის მდგომარეობით, შემაკავებელი ორდერის დარღვევისთვის ყოველგვარი ალტერნატიული საშუალებლების გარეშე გათვალისწინებულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ასევე შეიცვალა მიდგომა ოჯახში ძალადობის ფაქტებთან მიმართებაში, ყველა შეტყობინებაზე სადაცკი ოჯახური ნიადაგი ფიგურირებს, მიუხედავად დაზარალებულის პოზიციისა პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია გახსნას შემაკავებელი ორდერის ოქმი და დანართი N 2-ის შესაბამისად შეაფასოს დაზარალებულთან გასაუბრების კითხვარი და თუ სააკმარისი ქულები დაგროვდება გამოსცეს შემაკავებელი ორდერი.<sup>38</sup> ყოფილა შემთხვევები როდესაც, დაზარალებული განცხადებას აკეთებს ძალადობის ფაქტზე მაგრამ ითხოვს მხოლოდ მოძალადის გაფრთხილებას, ასევე წინააღმდეგია შემაკავებელი ორდერის გამოცემაზე, მსგავს შემთხვევებში პოლიციის მუშაკი ვალდებულია გამოსცეს შემაკავებელი ორდერი მიუხედავად დაზარალებულის პოზიციისა.

სოფლიოში ქალთა მკვლევლობების 40-70 პროცენტი ინტიმური პარტნიორის მიერ ხდება. ოჯახურ ძალადობას აქვს სერიოზული გავლენა ბავშვებზე, ოჯახზე, მეგობრებზე, თანამშრომლებსა და მთლიანად საზოგადოებაზე. ოჯახი და მეგობრები შეიძლება გახდნენ მოძალადის სამიზნე მსხვერპლის დახმარების მომენტში. იმ ოჯახებში მცხოვრები ბავშვები, სადაც ადგილი აქვს ძალადობას და ამ ძალადობის მონაწილეები არიან, თავად ხდებიან ძალადობის მსხვერპლები. ოჯახური ძალადობის თითოეული

<sup>37</sup> <https://www.interpressnews.ge/ka/article/301284-kartuli-presis-mimoxilva-18102014>

<sup>38</sup> საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ - საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №761 - ვებგვერდი, 25.05.2017წ მგ-10-3 ნაწ. მუხლი.

ინციდენტი ბავშვისთვის სერიოზულ ემოციურ ტრავმას წარმოადგენს. ბავშვებზე ოჯახური ძალადობის ეფექტის გააზრება, ასევე მეუღლესა და ბავშვს შორის კორელაციის განსაზღვრა, წარმოადგენს ძალადობაზე ეფექტური საზოგადოებრივი პასუხის კრიტიკულ ნაწილს, ამ საფუძვლების გარეშე ბავშვების დახმარების პროგრამებს შეიძლება ნეგატიური ეფექტი ჰქონდეთ, ალადობის მსხვერპლ ქალებთან მიმართებით და შესაძლოა არ იყოს ეფექტური ბავშვების დახმარების და მათი რეაბილიტაციის თავლსაზრისით.<sup>39</sup>

მსხვერპლზე საუბრისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აუცილებელია უზრუნველყოფილი იყოს მისი და ბავშვის უსაფრთხოება. მსხვერპლი დაცული იქნეს ძალადობის შემდგომი ესკალაციისგან და ისარგებლოს სათანადო დახმარებით. ოჯახში ძალადობის მსხვერპლს და რისკ ჯგუფზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტები, როგორც წესი განსაკუთრებულ ნეგატიურ გავლენას ახდენს ოჯახში მცხოვრებ არასრულწლოვანზე, რომ ოჯახში სადაც ხდება ძალადობა, ბავშვები ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას განიცდიან, მიუხედავად იმისა უშუალოდ მათზე ხდება თუ არა ზემოქმედება, ასეთ დროს ემოციური ფაქტორი ძალიან დიდია და პრაქტიკულად უტოლდება უშუალოდ ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. კვლევები აჩვენებს, რომ ბავშვებს, რომლებიც იზრდებიან ძალადობრივ ოჯახში აქვთ მეტყველების, გონებრივი განვითარების სმენის და ფსიქოლოგიური პრობლემები. ბავშვებს, რომლებიც იზრდებიან ძალადობრივ ოჯახში აქვთ განათლებასთან დაკავშირებული პრობლემები. უჭირთ საკითხებზე კონცენტრირება, დათრგუნვა, მიდრეკილება ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი. ბიჭები, რომლებიც ბავშობაში ოჯახში ძალადობის ფაქტს შეესწრნენ, შემდგომში თავად ხდებიან მოძალადენი თავიანთი პარტნიორების მიმართ. სწორედ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით ოჯახში ძალადობის განსაკუთრებით საყურადღებოა

---

<sup>39</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია „საია“-ოჯახური ძალადობა, სოციალურ-პოლიტიკური ასპექტები საერთაშორისო პრაქტიკა და მიდგომები .2006 წელი 26-29გვ.

არასრულწლოვანთა დაცვის სპეციპიკური სისტემის შექმნა. ყოველწლიურად დაახლოებით 3,3 მილიონი ბავშვი ხდება ძალადობის მონმე.

- ბავშვები, რომლებიც ისეთ ოჯახებში ცხოვრობენ, სადაც ოჯახური ძალადობა ხორციელდება, განიცდიან ფიზიკურ შეურანყოფას და აბუჩად აგდებას.

- კვლევების შედეგები გვიჩვენებს, რომ ძალადობის მსხვერპლი ბავშვების დედებს აერთიანებს ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმა-ცემა.

- ბავშვების დაახლოებით ნახევარზე მეტი განიცდიდა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას, 5 % ჰოსპიტალიზებული იყო ძალადობის გამო და დაცვის სამსახურების მიერ იქამდე, სანამ ისინი თავშესაფრში მოხვდებოდნენ. იმავე კვლევის მიხედვით, ძირითად შემთხვევებში მოძალადე იყო მამაკაცი იშვიათად კი ქალი.

- ბავშვები რომლებიც ძალადობრივ ოჯახში ცხოვრობენ, იღებენ არაპირდაპირ ზიანს. ისინი შეიძლება დასახიჩრდნენ მშობლების შორის ჩხუბის დროს, როდესაც ხდება სხვადასხვა საგნების და იარაღის გამოყენება, ასევე შეიძლება დასახიჩრდეს ჩვილი ბავშვი, როდესაც დედას ის ხელში უჭირავს და ამ დროს მასზე ხორციელდება ძალადობა.

- ბავშვები, რომლებიც ძალადობრივ ოჯახში იზრდებიან მიდრეკილნი არიან ალკოჰოლისა და ნარკოტიკების გამოყენებისკენ.

- ბავშვებს რომლებიც იზრდებიან ძალადობრივ ოჯახში აქვთ განათლებასთან დაკავშირებული პრობლემები. მათ უჭირთ საკითხზე კონცენტრირება , თანატოლებთან ურთიერთობის დამყარება და ხშირად აცდენენ სკოლას.

- ბიჭები, რომლებიც ოჯახური ძალადობის ფაქტს შეესწრნენ ბავშობაში, თავად ხდებიან მოძალადენი და სცემენ თავიანთ ქალ პარტნიორებს, არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ გოგონები, რომლებიც ბავშობაში დედაზე განხორციელებული ძალადობის მონმენი იყვნენ,ზრდასრულ ასაკში თავად ხდებიან ძალადობის მსხვერპლი.

## 2.10 ოჯახში ძალადობის ხელშემწყობი ფაქტორები და მათი დინამიკა

ოჯახში ძალადობის პრობლემის განხილვისას მნიშვნელოვანია შევეხოთ ოჯახში ძალადობის განმაპირობებელ ფაქტორებსა და მახასიათებლებს. არსებული შეხედულებების მიხედვით, ოჯახში ძალადობა წარმოადგენს სხვადასხვა ფაქტორების ურთიერთდაკავშირებულ სისტემას. მსგავს ფაქტორებს კი განეკუთვნება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ფინანსებზე შეზღუდული ხელისაწვდომობა, ემოციური ფაქტორები, თანაცხოვრების პირობებში წარმოქმნილი სირთულეები და შეუთავსებლობა თანაცხოვრებისას, ოჯახში ძალადობაზე დაფუძნებული ურთიერთობები, ეკონომიკური დამოუკიდებლობის არარსებობა, რწმენა, რომ დასაბამიდან ქალი მამაკაცის მორჩილი უნდა იყოს, კანონმდებლობა და გავცრელებული კულტურული წეს-ჩვეულებები, რომლის მიხედვითაც ქალებს და ბავშვებს ტრადიციულად არ გააჩნდათ დამოუკიდებელი და სოციალური სტატუსი, მავნე ჩვეულებისადმი (ალკოჰოლიზმი, ნარკომანია და ა.შ.) მიდრეკილება და სხვა.<sup>40</sup> ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად ასევე მიიჩნევა მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობის არარსებობა, სწორედ აღნიშნულის გამო უძნელდება ქალების უმეტესობას, თავი დააღწიოს ძალადობას. ძალადობა, ეკონომიკური რესურსების არარსებობა და მოძალადეზე დამოკიდებულება მკვეთრად უკავშირდება ერთმანეთს. ერთი მხრივ ძალადობის შიში და მუქარა აფერხებს ქალს, იპოვოს სამუშაო ან დაბალანაზღაურებად მძიმე სახის სამუშაოს დასაწყრდეს, მეორე მხრივ კი ეკონომიკური დამოუკიდებლობის გარეშე ქალს არ ძალუძს თავი დააღწიოს მოძალადეს. ოჯახში ძალადობის განაპირობებელი ფაქტორების ანალიზისას არ შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს ოჯახში კონფლიქტებზე ალკოჰოლისა და ნარკოტიკების გავლენა. მიიჩნევა, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტების უმეტესი ნაწილი

---

<sup>40</sup> გოგობერიძე გია, ფერაძე მაკა, მიქანაძე გივი, ნოდარ სააკაშვილი-2012. სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენინგებისათვის - „ოჯახში ძალადობა და მის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. 2012 წელი ქ. თბილისი გაერთიანებული ერების ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) ფინანსური მხარდაჭერით - 25-28 გვ

ჩადენილია იმ პირობებში, როცა მოძალადე ალკოჰოლური და ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. მამაკაცების მიერ ალკოჰოლისა და ნარკოტიკების დიდი ოდენობით მოხმარება სხვა უარყოფით ფაქტორებთან ერთად, ასევე იწვევს ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ მისი აგრესიული ქმედებების პროვოცირებას. ოჯახში ძალადობის განმაპირობებელი ზემო აღნიშნული ფაქტორები შესაძლებელია შემდეგი სახით დავაჯგუფოთ: კულტურული-გენდერზე დაფუძნებული სოციალიზაცია, კულტურული ფორმულირება, რომლებიც განსაზღვრავს შესაბამისი სქესის როლს, ურთიერთობებში წინასწარ განსაზღვრული როლები, მოსაზრება, რომ მამაკაცი ყოველთვის უნდა ბატონობდეს ქალზე, ღირებულებები, რომლებიც მამაკაცს ქალზე მესაკუთრის უფლებას სძენს, მოსაზრება, რომ ოჯახი არის მამაკაცის დაქვემდებარების ქვეშ არსებული კერძო სფერო. ქორწინების ჩვეულებები, ძალადობა, კონფლიქტის გადაჭრის მიღებული მეთოდი.<sup>41</sup>

ეკონომიკური ქალის ეკონომიკური დამოკიდებულება მამაკაცზე, ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, დისკრიმინაციული ხასიათის კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს მემკვიდრეობის, საკუთრების უფლების, მიწით სარგებლობის, განქორწინებისა და მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ქონების მიღების საკითხებს. სახელმწიფო თუ კერძო სექტორში დასაქმების ნაკლები პერსპექტივა, განათლების მიღების ნაკლები პერსპექტივა.<sup>42</sup>

---

<sup>41</sup> გოგობერიძე ვია, ფერაძე მაკა, მიქანაძე გივი, ნოდარ სააკაშვილი-2012. სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენინგებისათვის - „ოჯახში ძალადობა და მის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. 2012 წელი ქ.თბილისი გაერთიანებული ერების ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში „ფარგლებში, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) ფინანსური მხარდაჭერით - 28-გვ

<sup>42</sup> გოგობერიძე ვია, ფერაძე მაკა, მიქანაძე გივი, ნოდარ სააკაშვილი-2012. სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენინგებისათვის - „ოჯახში ძალადობა და მის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. 2012 წელი ქ.თბილისი გაერთიანებული ერების ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში „ფარგლებში, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) ფინანსური მხარდაჭერით - 28-29გვ

სამართლებრივი-დანერვილი თუ დაუნერელი კანონებით აღიარებული ქალის ნაკლები სამართლებრივი სტატუსი განქორწინების, ბავშვზე მეურვეობის, მასზე მზრუნველობისა და მემკვიდრეობის საკითხების მარეგულირებელი დისკრიმინაციული სახის კანონმდებლობა, ქალებში სამართლებრივი ცნობიერების დაბალი დონე.

ოჯახში ძალადობის აღსაკვეთად და მოძალადის მიმართ ადეკვატური ზომების გამოსაყენებლად მსხვერპლმა პირველ ყოვლისა უნდა მიმართოს სამართალდამცავ ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანოებს. პოლიციასთან მსხვერპლის კონტაქტი წარმოადგენს ძალადობის აღკვეთის და მოძალადის დასჯის პირველ და საგულისხმო ნაბიჯებს. თუმცა ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ხშირად მხოლოდ ინციდენტის შეწყვეტით არის დაინტერესებული, მას არ სურს შემდგომი სამართლებრივი ღონისძიებების გატარება, მათ შორის არ უნდა მიმართოს პოლიციას ან სამამართლოს.

### **თავი 3. ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სოციალური და სამართლებრივი რეაგირება და მოქალაქეთა დაცვის მექანიზმები**

საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ 2006 წლის 25 მაისს იქნა მიღებული.<sup>43</sup> კანონის ამოქმედებით ქვეყნის სამართლებრივ სივრცეში ჩამოყალიბდა ოჯახში

<sup>43</sup> <https://police.ge/files/IRD/A5%20DV%20book.pdf>



ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალიზირებული ინსტიტუტი, რომელიც ოჯახში ძალადობის არსებობის შემთხვევაში დაუბრკოლებლად ახორციელებს თავის უფლებამოსილებას. ამასთან ერთად საჭიროების შემთხვევაში ოჯახში ძალადობისა და აღკვეთისათვის იყენებს სისხლისსამართლებრივ, სამოქალაქო-სამართლებრივ და ადმინისტრაციულ სამართლებრივ მექანიზმებს. თავისი მიზნების ეფექტურად შესრულების უზრუნველსაყოფად კანონში განსაზღვრულია სახელმწიფო დანესებულებების ცალკეული სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებები. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ოჯახში ძალადობის შემთხვევის გამოვლენას და მასზე შესაბამის რეაგირებას უზრუნველყოფენ სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოები, აგრეთვე, კანონით დადგენილი წესით, ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საბჭოსთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი.<sup>44</sup>

ოჯახში ძალადობის ფაქტის პირველადი იდენტიფიცირების და მასზე რეაგირების მიზნით შესაბამისი ორგანოებისთვის მიმართვის ვალდებულება აკისრიათ სამედიცინო დანესებულების, არასრულწლოვნის შემთხვევაში – საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დანესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილ თანამშრომლებს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სუბიექტებს. კანონის მიხედვით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ოჯახში ძალადობის ფაქტებზე ახორციელებს პირველად რეაგირებას. შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 11 სექტემბერს #1079 ბრძანებით<sup>45</sup> და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 24 მარტის #333 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის

<sup>44</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი-სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირებისთვის -გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women)-2014 წელი.6 გვ.

<sup>45</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 11 სექტემბრის N1079 ბრძანება

ფორმები და მათი შედგენის უფლებამოსილი პირები.<sup>46</sup> საქართველოს ოჯახში ძალადობის სტატისტიკის მიხედვით პოლიციის მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერის რაოდენობა წინა წლებთან შედარებით ყველაზე მეტჯერ 2015-2017 წლებში გაიზარდა, ხოლო 2018 წლისთვის იკლო აღნიშნულმა მაჩვენებელმა. (იხ. გრაფიკი 3) ოჯახში ძალადობის შესახებ კანონის თანახმად, ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის, დროებითი ღონისძიების სახით, გამოიყენება დამცავი და შემაკავებელი ორდერები. აღნიშნული ორდერები გამოიცემა უფლებამოსილი ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ და უზრუნველყოფს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და მოძალადეთათვის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვას.<sup>47</sup> დამცავი ორდერი არის მოსამართლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც, ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, განისაზღვრება ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები. მისი მოქმედების ვადაა 6 თვე. შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები და რომლის მოქმედების ვადაა 30 დღე. შემაკავებელ და დამცავ ორდერებს შორის განსხვავება მდგომარეობს შემდეგში: შემაკავებელ ორდერს გამოსცემს პოლიციის თანამშრომელი უშუალოდ ძალადობის ფაქტზე რეაგირების დროს, რაც შეეხება დამცავ ორდერს, იგი გამოიცემა სასამართლოს მიერ, უფლებამოსილი პირის მიმართვიდან 10 დღის ვადაში. შემაკავებელი ორდერი გულისხმობს მსხვერპლთა დაცვის დროებით ღონისძიებებს: მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადესაგან დაცვის ზომებს, მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადესაგან გარიდებისა და თავშესაფარში მისი მოთავსების საკითხებს<sup>48</sup> მოძალადის მიერ თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის

<sup>46</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 24 მარტის N333 ბრძანება-მუხ-1-ლი

<sup>47</sup> ირმა ალადაშვილი, ნინო ჩიხლაძე -, ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გამოყენების მონიტორინგი“ - 2007 წლის ივლისი - 2008 წლის ოქტომბერი 8-9 გვ.

უფლების აკრძალვას; მოძალადისაგან ბავშვის განცალკევების, მასთან შეხვედრისა და ურთიერთობის რეგულირების საკითხებს; მოძალადის მიახლოების საკითხის მსხვერპლთან, მის სამსახურთან და იმ სხვა ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება და სხვა საკითხებს, რომლებიც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის. უფრო დანვრილებით, რომ განვიხილოთ შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლის დაცვის ღრობითი ღონისძიებები. ამ ღონისძიებათა ჩამონათვალი მოცემულია შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ შემაკავებელი ორდერის ფორმაში, რომლიდანაც პოლიციელი შეარჩევს თითოეული ძალადობის შემთხვევაში ყველაზე უფრო მისაღებს. შესაძლებელია შერჩეულ იქნას დაცვის რამდენიმე ღონისძიება.<sup>49</sup> შემაკავებელი ორდერი გამოიცემა სამ ეგზემპლარად. ერთი გადაეცემა მსხვერპლს, მეორე – მოძალადეს, მესამე რჩება ოქმის გამომცემ უფლებამოსილ პოლიციელს. არასრულწლოვანზე ძალადობის შემთხვევაში, თუ ოჯახში არ იმყოფება არამოძალადე წევრი, მსხვერპლის მხარეს წარმოადგენს მზრუნველობის ან მეურვეობის ორგანო. ასეთ შემთხვევაში შემაკავებელი ორდერის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მათ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ შემაკავებელი ორდერის (საპატრულო პოლიცია, აგრეთვე ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურები), ან სასამართლოს მიერ დამცავი ორდერის გამოცემით, ოჯახში ძალადობაში დაზარალებულს, ენიჭება მსხვერპლის სტატუსი, რომლის შემდგომც მას შეუძლია ისარგებლოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სოციალური თუ სამართლებრივი დაცვის მექანიზმებით.<sup>50</sup> შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული ვალდებულებების

<sup>49</sup> საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში მსხვერპლთა დაცვის ადა დახმარების შესახებ-საქართველოს პარლამენტი -25.05.2017 წელი.

<sup>50</sup> კობა ბოჭორიშვილი, მარინა მესხი, ქეთი ხუციშვილი მაკა ფერაძე, ნოდარ სააკაშვილი, ანა არღანაშვილი ნატო შავლაყაძე, ნატო ზაზაშვილი-სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე.ქ.თბილისი 2010 წელი.“ დავძლიოთ გენდერული ძალადობა ამიერკავკასიაში“18-24 გვ.

შესრულებლობა ინვესტს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, რაც გათვალისწინებულია საქ. სსკ-ის 381<sup>1</sup> მუხლით.<sup>51</sup> შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადაში პოლიციელმა უნდა განახორციელოს მსხვერპლთან და მოძალადესთან მონიტორინგის ოქმები, დაურეკოთ მათ და განახორციელოს გეგმიური და არაგეგმიური ვიზიტები.<sup>52</sup> გამომდინარე აქედან, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ეს ორგანოები უფლებამოსილები არიან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით დაიწყონ გამოძიება. ოჯახში ძალადობის საკითხის პირველ ფლანგზე წამოწვამ სისხლის სამართლის კოდექსში ავტომატურად წარმოშვა შესაბამისი ქმედების მარეგულირებელი მუხლი 126<sup>1</sup>, ამ მუხლის მიხედვით, ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორე მიმართ განხორციელებული ძალადობა, სისტემური შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა, მაგრამ არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, გვაძლევს ოჯახში ძალადობის შემადგენლობას. გარდა ამისა, ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა განიხილება ოჯახურ დანაშაულად.<sup>53</sup> ოჯახური დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კოდექსის მე-11<sup>1</sup> მუხლზე მითითებით, რომელიც ნიშნობლივად გამოყოფს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 1331, 133 2, 137-ე-141-ე, 143-ე, 144-ე-144 3, 149-ე-151 1, 160-ე, 171-ე, 187-ე, 253-ე-2551, 3811 და 381 2 მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების

---

<sup>51</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი -14.12.2018 წ.381<sup>1</sup> მუხლი.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=207#!>

<sup>52</sup> დანართი N1 -მოძალადის მიერ შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის ინსტრუქცია

<sup>53</sup> გოგა ხატიაშვილი-ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეები-(თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორისა და თელავის სასამართლოების მონიტორინგის ანგარიში) საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია-თბილისი 0102-საქართველო-10 გვ.

ჩადენას ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორესთან მიმართებაში.<sup>54</sup> შემაკავებელი ორდერი ძალაში შედის გამოცემისთანავე. განსხვავებით დამცავი ორდერის პირობებისა შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადა არ გრძელდება. თუ გარემოება რადიკალურად შეიცვალა და მხარეები ერთობლივი განცხადების საფუძველზე მიმართავენ სასამართლოს ორდერის გაუქმების მოთხოვნით სასამართლო განიხილავს ამ განცხადებას, შეამოწმებს გარემოებებს, ნების თავისუფლად გამოხატვის საფუძველებს და წყვეტს ორდერის მოქმედების პირობებს. სასამართლოს აქვს უფლებამოსილება არ გააუქმოს დამცავი და/ან შემაკავებელი ორდერი თუ მიიჩნევს რომ მოძალადის მხრიდან არსებობს პოტენციური საფრთხე ძალადობის ხელმეორედ ჩადენისა და მხარეებს შეცდომაში შეჰყავთ სასამართლო, რადგან სახეზე არ გვაქვს ნების თავისუფალი გამოხატვა, ან ორდერის პირობები ეხება არასრულწლოვანის ინტერესებს და არსებობს ძალადობის განმეორების საფრთხე არასრულწლოვანის ან ოჯახის სხვა წევრთა მიმართ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სპეციფიკიდან გამომდინარე ქვეყნის ზოგიერთ ტერიტორიულ ერთეულებში განსაზღვრული არ არის მისი სტრუქტურული ერთეულების მოქმედების არეალი. სწორედ ამიტომ აღნიშნული ბრძანება, ასეთ ტერიტორიულ ერთეულებში ზემოაღნიშნული აქტების გამოცემის უფლებამოსილებას ანიჭებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების უბნის ინსპექტორებს. კანონის მე-16 მუხლში თანამიმდევრულად არის ჩამოყალიბებული პოლიციელის მოქმედებები ოჯახში ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში.<sup>55</sup> ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ კანონშემოქმედი არ აკონკრეტებს, ოჯახში ძალადობის აღვილს, არც იმ ფაქტს, რომ ოჯახის წევრები ერთჯერადად უნდა ცხოვრობდნენ. ამ კანონის

---

<sup>54</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი -109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 1331, 133 2, 137-ე-141-ე, 143-ე, 144-ე-144 -3, 149-ე-151<sup>1</sup>, 160-ე, 171-ე, 187-ე, 253-ე-255<sup>1</sup>, 381<sup>1</sup> და 381<sup>2</sup> 14.12.2018 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=207#!>

<sup>55</sup> საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №761 - ვებგვერდი, 25.05.2017წ მე-16-მუხლი.

მიზნებისათვის მნიშვნელობა არ აქვს ძალადობაში მონაწილე პირთა ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილს და არც შემთხვევის ადგილს. ასეთ შემთხვევაში ოჯახში ძალადობად უნდა ჩაითვალოს ნებისმიერი ინციდენტი, რომელიც მოხდა ზემოაღნიშნულ პირთა შორის, მიუხედავად იმისა ეს ადამიანები ერთჯერადად ცხოვრობენ თუ არა, ანდა ძალადობა განხორციელდა საცხოვრებელ ბინაში თუ ვთქვათ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე (მაგალითად ყოფილი მეუღლეები, რომლებიც ერთჯერადად აღარ ცხოვრობენ, სადაო საკითხების განსახილველად შეხვდნენ დასასვენებელ პარკში სადაც განხორციელდა ძალადობა). პირველადი ინფორმაციის მიღებისთანავე მორიგე ჯგუფი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოცხადდეს ძალადობის ადგილზე და მოახდინოს რეაგირება, გახსნას შემაკავებელი ორდერის ოქმი და აღნიშნულ ოქმში შეავსოს კითხვარი და მისი მიხედვით თუ დაგროვდა შესაბამის ქულათა რაოდენობა და მსხვერპლი გამოიკვეთა ამ შემთხვევაში გამოსცეს შემაკავებელი ორდერი.<sup>56</sup> შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ინფორმაცია ოჯახის შესახებ თითოეული ამ ოჯახის წევრის პირადი საიდუმლოებაა მისი დარღვევის ნებისმიერი შემთხვევა უნდა განხორციელდეს კანონის ფარგლებში და ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად. თუ პირველადი ინფორმაციით ძალადობა უშუალოდ შეტყობინების მიღების მომენტში ხორციელდება პოლიციელი პირდაპირ გამოცხადდება ძალადობის მისამართზე და მიიღებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა ზომას ძალადობის აღსაკვეთად. პროპორციულობის სრული დაცვით გამოიყენებს მის უფლებამოსილებაში არსებულ ძალას, (პოლიციელის მიერ ძალის გამოყენების სამართლებრივი საფუძველი ჩამოყალიბებულია საქართველოს კანონში პოლიციის შესახებ.)<sup>57</sup> ასეთ დროს პოლიციელი მეტი გულისყურით უნდა მოეკიდოს დაზარალებულს, გააცნოს მას თავისი უფლებები. განუმარტოს ძალადობის არსი და მისი

<sup>56</sup> კობა ბოჭორიშვილი, მარინა მესხი, ქეთი ხუციშვილი მაკა ფერაძე, ნოდარ სააკაშვილი, ანა არღანაშვილი ნატო შავლაყაძე, ნატო ზაზაშვილი-სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე მონაწილეებია და რეკომენდირებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ.ქ.თბილისი 2010 წელი.14-17გვ.

<sup>57</sup> საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ -28.10.2013 წელი მუხლი -33

განმეორადობითი ბუნება. რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ძალადობა ერთხელ მოხდა და ის რეაგირების გარეშე დარჩა, დიდია ალბათობა იმისა, რომ ის კიდევ განმეორდება და სწორედ ამიტომ არის აუცილებელი მოქმედება. აუხსნას სავარაუდო მსხვერპლს შემაკავებელი ორდერის არსი და ამ ორდერით გათვალისწინებული მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიების დანიშნულების შესახებ. შემთხვევის ადგილზე გამოცხადების შესახებ, თუ სახეგია ოჯახში ძალადობა ან ოჯახური კონფლიქტი, შეავსოს შემაკავებელი ორდერის ოქმი და გამოწეროს შემაკავებელი ორდერი. ან თუ სახეგია ოჯახური კონფლიქტი, რომელიც არ იძლევა ორდერის გამოწერის წინაპირობას, შეავსოს მხოლოდ შემაკავებელი ორდერის ოქმის კითხვარი, სადაც არ დაგროვდება შესაბამისი ქულა ორდერის გამოსაცემად. აღსანიშნავია ის გარემოება რომ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში არასრულწლოვანს 14 წლის ასაკიდან უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. ამ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს საპროცესო წარმომადგენელს და განიხილავს საქმეს. არასრულწლოვან მოსარჩელეს უფლება აქვს, არ დაეთანხმოს თავის საპროცესო წარმომადგენელს და თვითონ დაიცვას თავი. პოლიციელი ასევე უზრუნველყოფს მსხვერპლის გადაყვანას სამედიცინო დანესებულებაში აგრეთვე აუცილებლობის შემთხვევაში. მსხვერპლის თხოვნით ან გადაუდებელ შემთხვევაში უზრუნველყოფს მისი ან/და არასრულწლოვანის მსხვერპლის გადაყვანას თავშესაფარში<sup>58</sup>. მსხვერპლის სხვა ადგილზე გადაყვანის შემთხვევაში უზრუნველყოფს მისი საცხოვრებელი ადგილიდან, პირველადი საჭიროების ნივთებისა და საიდენტიფიკაციო დოკუმენტების წამოღებას. მდგომარეობის გართულების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად, ნებისმიერ შემთხვევაში პოლიციელი ვალდებულია უზრუნველყოს იმ პირის უსაფრთხოება, რომელმაც აცნობა ძალადობის ფაქტის თაობაზე. იმ შემთხვევაში კი, როდესაც მუქარა სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის

---

<sup>58</sup>საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ . 2017 წლის 4 მაისის კანონი №761 - ვებგვერდი, 25.05.2017წ მე-16-მუხლი.

დაზიანების ანდა ქონების განადგურების შესახებ მკაფიოდ და დამაჯერებლად იქნება გამოხატული, როდესაც მუქარის ადრესატს ანუ იმას ვისაც ემუქრებიან გაუჩნდება მისი განხორციელების საფუძვლიანი შიში, შესაძლებელია დაიწყოს გამოძიება<sup>59</sup>. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი პირის მიმართვის საფუძველზე სასამართლოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია დროებითი ღონისძიების სახით გამოიყენოს დამცავი ორდერი<sup>60</sup>. განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის თაობაზე განიხილება პირველი ინსტანციის სასამართლოში მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. იგი წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით. იგი უნდა შეიცავდეს: განცხადების შემტანი პირის სახელს, გვარს; განცხადების შემტანი პირის საცხოვრებელი ადგილის მისამართს; მოძალადის საცხოვრებელი ან/და სამუშაო ადგილის მისამართსა და ტელეფონის (მათ შორის, მობილურის) ნომერს, ასეთის არსებობის შემთხვევაში; ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის აღწერას; ცნობებს მოძალადისა და მსხვერპლის, მათი ურთიერთკავშირის შესახებ, მტკიცებულებათა ჩამონათვალს; დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნას, სასამართლო განცხადების სასამართლოს კანცელარიაში დადგენილი წესით რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში განიხილავს მას და იღებს გადაწყვეტილებას დამცავი ორდერის გამოცემის, გაუქმების, მოქმედების ვადის გაგრძელების ან გამოცემაზე უარის თქმის შესახებ. სასამართლო განცხადების სასამართლოს კანცელარიაში დადგენილი წესით რეგისტრაციიდან 24 საათის განმავლობაში განცხადებასა და თანდართულ მასალებს უგზავნის იმ პირს, რომლის მიმართაც არის შეტანილი განცხადება, აგრეთვე აძლევს მას უფლებას წარადგინოს მტკიცებულებები. პირი, რომლის მიმართაც არის შეტანილი განცხადება, უფლებამოსილია წერილობით უპასუხოს განცხადებაში მითითებულ საკითხებს და

<sup>59</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი-30.05.2018 წლის 30 მაისის კანონი N2396,151-მუხლი.

<sup>60</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსი-საქართველოს პარლამენტი-30.11.2018 წ.მუხ.21<sup>13</sup>



წარადგინოს მტკიცებულებები სასამართლო უწყების მიღებიდან 3 დღის ვადაში. მოსამართლე უფლებამოსილია მხარის (არასრულწლოვნის შემთხვევაში – მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს) ან საკუთარი ინიციატივით საქმე განიხილოს დახურულ სასამართლო სხდომაზე. თუ დამცავი ორდერით გათვალისწინებული საკითხი არასრულწლოვანს შეეხება, აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილება ეგზავნება აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის შესაბამის ადგილობრივ ორგანოს, ხოლო თუ სასამართლო გადაწყვეტილება იარაღთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხება – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს. სასამართლო გადაწყვეტილება დამცავი ორდერის გამოცემის, გაუქმების, მოქმედების ვადის გაგრძელების ან გამოცემაზე უარის თქმის შესახებ ერთჯერადად საჩივრდება იმავე ინსტანციის სასამართლოში 3 დღის ვადაში.<sup>61</sup> დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მოცემული დამცავი ორდერის მოქმედებას. გადაწყვეტილება დამცავი ორდერის გამოცემის, გაუქმების, მოქმედების ვადის გაგრძელების ან გამოცემაზე უარის თქმის შესახებ გამოცემისთანავე შედის ძალაში, რაც საკითხის სპეციფიურობითაა განპირობებული და მიმართულია ძალადობის სწრაფი აღმოფხვრისა და მსხვერპლის რეალური, სწრაფი დაცვისაკენ, რადგან გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და განცხადების განხილვის დროს მან კიდევ ერთხელ არ განიცადოს ძალადობრივი მოპყრობა და სასამართლო გადაწყვეტილებით დაცული იყოს მოძალადისაგან. მხარეები თანაბრად მონაწილეობენ ოჯახში ძალადობის ფაქტზე სასამართლოში წარდგენილი განცხადების განხილვაში მათ აქვთ თანაბარი შესაძლებლობები მიიღონ მონაწილეობა დავის განხილვაში, წარმოადგინონ მტკიცებულებები და დაასაბუთონ განცხადებაში მითითებული გარემოებები. მხარის

<sup>61</sup> კობა ბოჭორიშვილი, მარინა მესხი, ქეთი ხუციშვილი მაკა ფერაძე, ნოდარ სააკაშვილი, ანა არღანაშვილი ნატო შავლაყაძე, ნატო ზაზაშვილი-სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე. ქ. თბილისი 2010 წელი.“ დავძლიოთ გენდერული ძალადობა ამიერკავკასიაში“26 გ

გამოუცხადებლობა არ აფერხებს განცხადების განხილვას სასამართლოში. სასამართლო გადაწყვეტილება მხარეებს ეგზავნებათ გადაწყვეტილების მიღებიდან 24 საათის განმავლობაში.<sup>62</sup>

დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლება აქვს მსხვერპლს - პირს ვინც უშუალოდ განიცადა მოძალადის მხრიდან ძალადობა, ოჯახის წევრს. ოჯახის წევრებს უფლება აქვთ მიმართონ დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით სასამართლოს, ოჯახის ერთი წევრისაგან მეორე წევრის დაცვის მიზნით.

დამცავი ორდერით განისაზღვრება მოძალადის მიმართ ამკრძალავი ღონისძიებები, რომლებიც ასევე ჩამოთვლილია შემაკავებელ ორდერში და მიმართულია ძალადობის აღკვეთისა და მსხვერპლის დაცვისაკენ. დამცავი ორდერის გამოცემა შესაძლებელია აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც, ოჯახში ძალადობის ნიადაგზე სახეგვა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დასჯადი ქმედება, გამოხატული ოჯახური ძალადობის ნიშნით. თუ ჩადენილი ქმედებიდან გამომდინარე პირს (მოძალადეს) აღკვეთ ღონისძიებად შეთარღებული არ აქვს პატიმრობა და მოძალადე პატიმრობაში არ იმყოფება, მსხვერპლის თხოვნით სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ და განუსაზღვრავს მოძალადეს შემზღუდავ ღონისძიებას<sup>63</sup>. დამცავი ორდერი გამოიცემა ექვს თვემდე ვადით, რაც იმას ნიშნავს რომ საქმის გარემოებიდან გამომდინარე შეიძლება გამოყენებული იქნას ნებისმიერი ვადა ერთი დღიდან ექვს თვემდე (მაგ. 5 დღე, ერთი კვირა, ორი თვე)<sup>64</sup>.

დამცავი ორდერის მოქმედების ვადის შეცვლის საკითხს წყვეტს სასამართლო თუ არსებობს პოტენციური საშიშროება იმისა, რომ მოძალადე კვლავ განახორციელებს ძალადობრივ აქტს მსხვერპლის მიმართ, მსხვერპლს კვლავ შეუძლია მიმართოს

<sup>62</sup> საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი .04.05.2018 წელი მუხ-21<sup>13</sup>-6

<sup>63</sup> საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში მსხვერპლთა დაცვის ადა დახმარების შესახებ-საქართველოს პარლამენტი -25.05.2017 წელი.მე-10 მუხლი.

<sup>64</sup> საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი. 04.05.2017 წელი მუხ-21<sup>13</sup>-6

სასამართლოს და მოითხოვოს ორდერის მოქმედების ვადის გაზრდა ორდერის მოქმედების პერიოდში არა უმეტეს სამი თვისა. დამცავი ორდერის მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ ორდერის მოქმედების პერიოდში, ანუ თუ ორდერი გამოცემულია 2 თვის ვადით, ორი თვის გასვლამდეა შესაძლებელია ვადის გაზრდის მოთხოვნით მიმართოს მსხვერპლმა სასამართლოს, თუ არ არსებობს საფრთხე მსხვერპლის ან ოჯახის სხვა წევრის მიმართ, მაგრამ არაუმეტეს დამატებით სამი თვის ვადისა. დამცავი ორდერის მოქმედების ვადის გასვლის შემდგომ საშიშროების გამოვლენის ან ძალადობის განმეორებით ჩადენის საფრთხის შემთხვევაში, შესაძლებელია მსხვერპლმა კვლავ მიმართოს სასამართლოს დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით შეუზღუდავად. დამცავი ორდერის მოქმედება არ შეწყდება, ანუ პირობები არ გაუქმდება, თუ სასამართლო გადაწყვეტილებით გაგრძელებულია ორდერის მოქმედების ვადა და/ან ორდერის პირობები ეხება ოჯახის სხვა წევრის, უპირველესად ბავშვის ინტერესებს.

### **3.1. ოჯახში ძალადობის პრევენციის ხერხები და მექანიზმები**

ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ” საქართველოს კანონის ძირითად მიზანს წარმოადგენს არა მოძალადის დასჯა, არამედ პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელების გზით ძალადობის თავიდან აცილება. ოჯახში ძალადობის პრევენცია გულისხმობს იმ ფაქტორების ანალიზს შესწავლასა და შეფასებას, რომლებიც ოჯახში ძალადობის მიზეზებია. ამასთან, ძალადობის შემდგომი გამოვლინების თავიდან აცილების მიზნით წინასწარი ზომების მიღებას, კერძოდ, სტატისტიკის წარმოება, საინფორმაციო საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა, რათა მოქალაქეები ფლობდნენ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ კონკრეტულად რა ქმედება და ურთიერთდამოკიდებულება წარმოადგენს ოჯახურ ძალადობას, რა მექანიზმებით და

საშუალებებით შესაძლებელია დაცული იქნას დარღვეული უფლება. ოჯახური ძალადობის ფაქტების სტატისტიკა, ფაქტორების ანალიზი, შესწავლა და შეფასება უნდა ხორციელდებოდეს სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტების, ასევე საერთაშორისო, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა დაინტერესებული პირების მეშვეობით და ხდებოდეს გაშუქება საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი მასობრივი ინფორმაციების საშუალებით, რადგან არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე ნათელია, რომ მოსახლეობა არ არის სამართლებრივად ინფორმირებული, რაც იწვევს მათი ქმედების და ოჯახის წევრთა მიმართ უფლების შელახვას.<sup>65</sup>

უპირველეს ყოვლისა სახელმწიფოს მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა საშუალებებით მისცეს ინფორმაცია საზოგადოებას იმის შესახებ, რომ ოჯახი არ წარმოადგენს დახურულ ორგანიზაციას და მის შიგნით ძალადობა განიხილება როგორც სახელმწიფოს მხრიდან დასჯადი ქმედება. არავის არ უნდა ჰქონდეს იმის ილუზია, რომ ოჯახის შიგნით განხორციელებული ძალადობა დარჩება სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატური რეაგირებისა და დასჯის გარეშე. სახელმწიფოს მოვალეობაა გააერთიანოს ყველა შიდა მექანიზმი და რესურსი, რათა უზრუნველყოფილ იქნას ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლის მაქსიმალური დაცვა, მისი ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია. ძალადობის პრევენცია ასევე გულისხმობს მოძალადის მიმართ გარკვეული ღონისძიებების განხორციელებას, რათა მან შეივნოს თავისი ქმედების დანაშაულებრიობა და სამომავლოდ მისი მხრიდან გამორიცხული იყოს ძალადობის ხელახალი განმეორება.

კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ განსაკუთრებულად არეგულირებს იმ საკითხებს, რომლებიც ეხება არასრულწლოვანების დაცვას, მათ უსაფრთხოებასა და მოტაცების თავიდან აცილებას. ოჯახებში, სადაც ძალადობა ცხოვრების ჩვეული ფორმაა, ადამიანები

---

<sup>65</sup> კობა ბოჭორიშვილი, მარინა მესხი, ქეთი ხუციშვილი მაკა ფერაძე, ნოდარ სააკაშვილი, ანა არღანაშვილი ნატო შავლაყაძე, ნატო ზაზაშვილი-სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე. ე.თბილისი 2010 წელი.“ დავძლიოთ გენდერული ძალადობა ამიერკავკასიაში“ 29-35 გვ

ფსიქოლოგიურად ტრავმირებულნი არიან, ბავშვების ჯანმრთელობა ზიანდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ძალადობა უშუალოდ მათზე არ ხორციელდება და ისინი მხოლოდ მონმენი არიან მსგავსი ქმედების. ოჯახში ძალადობის შედეგად სახეგვა განვითარების შეფერხება ბავშვის არსებობის სამივე დონეზე: 1) აფექტურ (ემოციურ) დონეზე - ემოციური გახევება (უემოციობა, ემოციის დაჩლუნგება), მაღალი შფოთვა, ნევროტული შიშები და სხვა.; 2) კოგნიტურ დონეზე (აზროვნება)- ინტელექტუალური განვითარების შეფერხება, ყურადღებისა და მესხიერების პრობლემები; 3) ქცევის დონეზე დელიკვენტური (ქცევა, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დამკვიდრებულ წესებსა და კანონებს), დევიაციური (ნორმიდან გადახრილი) და კრიმინალური ქცევა.ნებისმიერ ბავშვთან ამ მოზარდთან საუბრის დანყებამდე უნდა დავინტერესდეთ, ხომ არ აქვს ბავშვს ან მოზარდს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები. არასრულწლოვანის მიმართ ჩადენილი ძალადობის იდენტიფიცირება სიძნელეს წარმოადგენს განსაკუთრებით მაშინ, როცა მოძალადე შეიძლება იყოს მშობელი/მშობლები. აღნიშნულიდან გამომდინარე, პოლიციამ ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე უნდა მიანოდოს ინფორმაცია სოციალური მომსახურების სააგენტოს შემთხვევის ადგილზე გამო

ცხადება განხორციელდეს ერთობლივად, რათა გაადვილდეს ძალადობის იდენტიფიცირება.

პოლიცია ვალდებულია გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული დასკვნა და საქმის გარემოებათა სრულყოფილი შესწავლის საფუძველზე გამოსცეს შემაკავებელი ორდერი. იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდო მოძალადე ერთ\_ერთი მშობელია და საქმის გარემოებებიდან ვერ დგინდება ძალადობის კვალი, რათა გამოიყენოს შემაკავებელი ორდერი, პოლიცია ვალდებულია მიანოდოს ინფორმაცია მეორე მშობელს და ოჯახის სხვა წევრებს, რომ მათ „ოჯახში ძალადობის აღკვეთის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის მე\_11 მუხლის თანახმად, უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს არასრულწლოვანის უფლებების დასაცავად და მოითხოვონ

დამცავი ორდერის გამოცემა და მიაწოდოს ოჯახის წევრებს ან მეორე მშობელს დეტალური ინფორმაცია თუ როგორ მიმართოს სასამართლოს.<sup>66</sup>

ოჯახში ძალადობისას მსხვერპლის მიერ თავშესაფარში გადაყვანის მოთხოვნის შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოები უზრუნველყოფენ მსხვერპლის იქ გადაყვანას. თავშესაფარი გულისხმობს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებით საცხოვრებელს ან დროებითი განთავსების ადგილს, რომელიც მსხვერპლთა ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებასა და დაცვის ღონისძიებებს ემსახურება. თავშესაფარში მსხვერპლის მოთავსება ხდება თავშესაფრის წესდებით გათვალისწინებული ვადით (კანონით განისაზღვრება 3 თვე). გადაუდებელ შემთხვევებში შესაძლებელია ვადის გაგრძელება. თავშესაფრის ადგილსამყოფელი გასაიდუმლოებულია ძალადობის მსხვერპლთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით. თავშესაფარში ცხოვრების პერიოდში მსხვერპლს ეხმარებიან თვით შეფასების ამაღლებაში, საკუთარი პრობლემების გაცნობიერებაში. მათთან მუდმივ კავშირშია სოციალური მუშაკი, რომელიც ეხმარება მსხვერპლს პრობლემების მოგვარებაში, მუშაობს ფსიქოლოგი, სამართლებრივი პრობლემების არსებობის შემთხვევაში მათთან მუშაობს იურისტი და თუ თავშესაფარს არ ჰყავს ყველა ზემოდ ხსენებული სპეციალისტი, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება ამ საკითხებზე მომუშავე სხვა ორგანიზაციების რესურსი.

---

<sup>66</sup> კობა ბოჭორიშვილი, მარინა მესხი, ქეთი ხუციშვილი მაკა ფერაძე, ნოდარ სააკაშვილი, ანა არღანაშვილი ნატო შავლაყაძე, ნატო ზაზაშვილი-სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე.ქ.თბილისი 2010 წელი.“ დავძლიოთ გენდერული ძალადობა ამიერკავკასიაში“36-39გვ

## თავი 4. უცხო ქვეყნების გამოცდილება ოჯახში ძალადობასთან მიმართებაში

მსოფლიოში ყოველი 4 ქალიდან ერთი ოჯახში ძალადობის მსხვერპლია. მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 10 ქვეყანაში ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომლის ფარგლებშიც 24 000 ქალი გამოიკითხა, გაირკვა, რომ ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობას იაპონიაში განიცდის ქალთა 20%, ეთიოპიასა და ბანგლადეშში - 70%, ხოლო პერუსა და ტანზანიაში - 50%-ზე მეტი. დაბალშემოსავლიან ქვეყნებში ქალების 14-32% აღნიშნავს, რომ მათზე ძალადობა განხორციელდა ორსულობის დროს, მაშინ როცა მაღალშემოსავლიან ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 4-11% შეადგენდა. სხვადასხვა ქვეყანაში მოზარდი გოგონების 19%-დან 48%-მდე მიუთითებდა სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე. 38% ფემიციდი ჩადენილია პარტნიორის მხრიდან.<sup>67</sup> აშშ-ში ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ 21-საუკუნის დასაწყისისთვის შეიქმნა ქალთა მოძრაობა, რომელმაც საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწია. საზოგადოების დიდი ყურადღება მიიპყრო. ქალთა მოძრაობა ასევე ძალიან

<sup>67</sup> წყარო: WHO's Multi-Country Study on Women's Health & Domestic Violence against Women (WHO, 2005)

წარმატებული იყო მთავრობასა და საკანონმდებლო ორგანოსთან მუშაობაში ოჯახური ძალადობის კრიმინალიზაციის და მოძალადის დასჯის თვალსაზრისით. სისხლისამართლებრივი სანქციები გამოიყენება სასამართლო ხელისუფლების მიერ და უფრო მეტი მოძალადის დასჯა ხდება. ქალთა მოძრაობამ საზოგადოების და ხელისუფლების ყურადღების მიქცევა ოჯახურ ძალადობაზე 1960-იანი წლებიდან დაიწყო. ამ ადრეულ ეტაპზე დადგინდა, რომ მამაკაცის დომინანტობა არა მარტო საზოგადოებრივ დონეზე, არამედ ოჯახის შიგნითაც არის აღიარებული.<sup>68</sup> სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ძალადობის მსხვერპლ ქალთა მოძრაობის დაწყება ამერიკაში, როდესაც გაცხადდა, რომ ქალის მიმართ ჩადენილი ოჯახური ძალადობის ფაქტების სიმრავლე მიუღებელ სოციალურ პრობლემად ჩამოყალიბდა. 1970-იანი წლებისათვის სტატისტიკურმა კვლევამ დაადგინა, რომ ძალადობის ფაქტები ქალის მიმართ არის ეროვნული პრობლემა. მსხვერპლები უფრო თვალსაჩინო გახდნენ. ქალები და ბავშვები, რომლებიც სახლში არსებულ საფრთხეს გაურბოდნენ, ქუჩაში ცხოვრობდნენ. პოლიცია და სასამართლო ძალიან იშვიათად ახერხებდა მსხვერპლის დახმარებას. პირველადი დახმარების აუცილებლობამ გამოიწვია თავშესაფრების შექმნის კამპანიის დაწყება. ადგილობრივი თავშესაფრების ქსელი კარგად არის ორგანიზებული აშშ-ში, რაც ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ქალს საშუალებას აძლევს, უსაფრთხო გარემოში იცხოვროს და დაიწყოს ახალი ცხოვრება, რომელშიც არ იქნება ძალადობა.

1977 წელს მინესოტა იყო პირველი შტატი, სადაც სახელმწიფო დაფინანსებით შეიქმნა ოჯახური ძალადობის მომსახურების აქტი. იმავე წელს კალიფორნიაში მიღებულ იქნა აქტი ოჯახური ძალადობის ცენტრის შესახებ, რომელიც იძლეოდა თავშესაფრის დაფინანსების საშუალებას ქორწინების ლიცენზიიდან მიღებული ხარჯების საფუძველზე

---

<sup>68</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია „საია“-ოჯახური ძალადობა, სოციალურ-პოლიტიკური ასპექტები საერთაშორისო პრაქტიკა და მიდგომები .2006 წელი 47-48 გვ.



ასევე საჭირო იყო არსებული სოციალური ინსტიტუტების ფორმირება, რაც მოითხოვდა საკანონმდებლო ინიციატივას კანონის შეცვლის ან შექმნის მიზნით.<sup>69</sup>

1990-იანი წლები აშშ-ში გარდამტეხი ეტაპი იყო ოჯახური ძალადობის საკითხთან მიმართებით. მიღებულ იქნა ქალის წინააღმდეგ ძალადობის ძირითადი ფედერალური აქტი. რომელიც 1 მილიარდ დოლარზე მეტს გამოყოფდა, თავშესაფრების, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა და მოსამართლეთა სწავლებისა და იმ სხვა დანაშაულების პრევენციისათვის, რომლებიც ქალის მიმართ ძალადობის ნიშნებს შეიცავდა. მიუხედავად ჩატარებული სერიოზული სამუშაოებისა, სასამართლო ხელისუფლებაში შემორჩენილია სტერეოტიპული დამოკიდებულება აღნიშნული საკითხის მიმართ, რაზეც მეტყველებს არაერთი ცნობილი სასამართლო პროცესი.<sup>70</sup> მერილენდის შტატში მოსამართლემ გაამტყუნა ქალი, რომელიც მეგობარმა ბიჭმა გააუპატიურა, იმ მოტივით, თითქოს ქალს ამ ქმედებისთვის თავის არიდება შეეძლო, თუკი პირველი ძალადობისთანავე მიატოვებდა. მოსამართლემ თქვა: “მსგავს საქციელს გამართლება არ აქვს, მაგრამ ხალხი ხშირად თვითონვე იგდებს თავს მსგავს სიტუაციაში. ეს დანაშაული არ მოხდებოდა, მსხვერპლს მასზე პირველად განხორციელებული ძალადობისას, რო მოეხდინა შესაბამისი რეაგირება.“ ეს მაგალითი ცხადყოფს, რომ ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლამ სისტემური ხასიათი უნდა მიიღოს და საზოგადოების ყველა სფეროზე გავრცელდეს, სამოქალაქო ლიდერებზე და თავად ინდივიდებზე იმ მიზნით, რომ მიღწეულ იქნეს საზოგადოებრივი ინტერესი ოჯახური ძალადობის დაძლევის თვალსაზრისით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლამ იმდენად მასშტაბური სახე მიიღო და ისე გაძლიერდა, რომ იგი შეძლებს ეს პრობლემა

---

<sup>69</sup> ეთერ კლეინი-ოჯახური ძალადობის დასარული-საზოგადოების მიდგომის შეცვლა, კალიფორნია. 1997 წელი/

<sup>70</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია „საია“-ოჯახური ძალადობა, სოციალურ-პოლიტიკური ასპექტები საერთაშორისო პრაქტიკა და მიდგომები .2006 წელი 50-53 გვ.

საზოგადოების პრობლემად აქციოს და შექმნას ისეთი საზოგადოება, რომელშიც ადგილი არ იქნება ოჯახური ძალადობისთვის.

ბრაზილიაში 1962 წლამდე, სანამ სამოქალაქო კოდექსის რეფორმა მოხდებოდა, ქალები იგივე სამართლებრივ კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ, რასაც ეთნიკური უმცირესობანი, სოციალურად დაუცველი ფენები, რომლებიც კლასიფიცირებული იყვნენ, როგორც ცალკე ერთეული.

საშუალო ან მდიდარი ფენის ქალს არ ჰქონდა უფლება, მამაკაცის თანხმობის გარეშე სახლის გარეთ ემუშავა, ასევე სამართლებრივ ურთიერთობებში წარმოედგინა ოჯახი ან განეკარგა ოჯახის ქონება. სამუშაო ურთიერთობების კანონის მიხედვით (1943 წელი),<sup>71</sup> მამას ან მეუღლეს ჰქონდა უფლება, შეენყვიტა ნებსიმირი სამუშაო კონტრაქტი, რომელსაც ქალი გააფორმებდა და რომელიც განიხილებოდა, როგორც ჯანმრთელობისთვის ან ქალის მდგომარეობისთვის საშიში. ამ კანონმა გარკვეული ცვლილებები განიცადა წლების განმავლობაში, მაგრამ საბოლოოდ გაუქმდა 1988 წელს ბრაზილიის ახალი კონსტიტუციით, რომელმაც ქალსა და მამაკაცს კანონის წინაშე აბსოლუტური თანასწორობა მიანიჭა.

მეორე მხრივ, ღარიბი ქალები იბრძვიან გადარჩენისთვის მძიმე სამუშაო პირობებში, ასევე მეუღლეების შეურაცხყოფის, რესურსების სიმცირისა და სტერეოტიპული ბარიერების პირობებში. საოჯახო საქმეების 24 % ქალები ასრულებენ. როდესაც ღარიბი ქალი ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ხდება, ერთადერთი დახმარების იმედი და თავშესაფარი მეზობელი ქალია. ოჯახური ძალადობა ქალის ცხოვრებაში მუდმივ საფრთხეს წარმოადგენს. მეუღლის მიერ გაუპატიურება, შეურაცხოვა და ინცესტი დამახასიათებელია ბრაზილიელი ქალებისთვის.

1988 წლისათვის ბრაზილიაში ქალთა მოძრაობასთან აქტიური თანამშრომლობით ახალი კონსტიტუცია შეიქმნა. ქალების საზოგადოებრივი ადგილისათვის ახალი

---

<sup>71</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია „საია“-ოჯახური ძალადობა, სოციალურ-პოლიტიკური ასპექტები საერთაშორისო პრაქტიკა და მიდგომები .2006 წელი 54-55 გვ.

პარამეტრები ჩამოყალიბდა და ამით დასრულდა მათი აღქმა მეორეხარისხოვან მოქალაქეებად.

პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე და საზოგადოების ცნობიერების ამარღების თვალსაზრისით, ბრაზილიაში შეიქმნა უნიკალური პოლიციის განყოფილება-ქალთა სპეციალური პოლიციის განყოფილება.

1982 წელს, როდესაც პირველი დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა, სანპაოლოში ლიბერალი გუბერნატორი იქნა არჩეული. სწორედ ამ გუბერნატორის ადმინისტრაციამ შეძლო, ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის პირველი სპეციალიზებული ადგილები შეექმნა. ასეთი უწყებების შექმნის მიზანი იყო პოლიციის განყოფილებაში ქალი პოლიციელის და სოციალური მუშაკის დასაქმება, რომლებიც ფსიქოლოგიურ დახმარებას და იურიდიულ რჩევას გაუწევენ მსხვერპლს. მოძალადეები არ უნდა ყოფილიყვნენ იგივე პოლიციის განყოფილებაში, სადაც იმყოფებოდნენ მსხვერპლები.<sup>72</sup>

1994 წლის სექტემბერში დუბლინიდან გავიდა ავტობუსი. ავტობუსი გაფორმებული იყო პლაკატებით და ნახატებით, სადაც ეწერა-„ქალის უფლებები ეს ადამიანის უფლებებია.“ მთელი თვის განმავლობაში ამ ავტობუსის ნახვა შესაძლებელი იყო ცხრა სხვადასხვა ქალაქში. მგზავრების ნაცვლად ამ ავტობუსს გადაჰქონდა იდეები ერთი ქალაქიდან მეორეში და ირლანდიის მოსახლეობას ქალთა უფლებებს აცნობდა.

გარეუბნებსა და სოფლად მცხოვრები ქალები გეოგრაფიულად იზოლირებულნი არიან და ცხოვრობენ პატარა, ჩაკეტილ თემებში, სადაც მეგობრულმა ურთიერთობებმა მოძალადესა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს შორის შეიძლება ქალი აიძულოს, თავი შეიკავოს პოლიციისათვის მიმართვისაგან მასზე განხორციელებული ძალადობის გამო. სწორედ ამიტომ გაავრცინა ეს ავტობუსი ირლანდიაში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა დახმარებამ“ შეტყობინებებით რეგიონებში.

---

<sup>72</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია „საია“-ოჯახური ძალადობა, სოციალურ-პოლიტიკური ასპექტები საერთაშორისო პრაქტიკა და მიდგომები .2006 წელი 59-63 გვ.

1995 წლამდე ირლანდიის კონსტიტუციით განქორწინება აკრძალული, მაგრამ სამართლებრივი განცალკევება დაშვებული იყო. პირველად განქორწინების ლეგალიზაციასთან დაკავშირებით რეფერენდუმი ჩატარდა 1986 წელს და საზოგადოების მიერ ეს გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული კოეფიციენტით 2:1. განცალკევების პროცედურა იმდენად რთული იყომ რომ თუ ერთი მხარე უარს აცხადებდა, მაშინ აუცილებელი იყო ადვოკატის აყვანა. ამასთან ერთად იურიდიული განცალკევება, განქორწინებისაგან განსხვავებით არ იძლევა ხელახლა დაქორწინების საშუალებას. განქორწინების პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობს ირლანდიაში და ამის გამო გრძელი მოსაცდელი სიები არსებობს. ოჯახური ძალადობის კანონმდებლობა მიიღეს 1996 წელს. ამ კანონის მიხედვით გაფართოვდა სასამართლოს გადაწყვეტილებები, პოლიციის უფლება, შესულიყო ძალადობის ადგილას, შემოღებულ იქნა „უსაფრთხოების ორდერი“, რომელიც არ უკრძალავს მოძალადეს სახლში ყოფნას, მაგრამ უკრძალავს პარტნიორის შეურაცხყოფას. ეს კანონი ასევე ვრცელდება ქორწინებაში არმყოფ პირებზე. ირლანდიაში ოჯახური ძალადობის პრობლემის დაძლევის თვალსაზრისით არასამთავრობო ორგანიზაციები უფრო მეტი აქტიურობით გამოირჩევიან. არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალების დახმარება“ ახორციელებს ფსიქოლოგიურ, იურიდიულ დახმარებას და აწვდის ინფორმაცია ქალებს, რომლებიც ფიზიკური, სექსუალური და ემოციური ძალადობის მსხვერპლები არიან. ქალის მიმართ ძალადობის აღმოფხვრა ირლანდიაში გრძელვადიან გეგმას წარმოადგენს.

## დასკვნა

ოჯახში ძალადობა ძალზედ რთული სოციალურ-სამართლებრივი მოვლენაა, იგი სხვადასხვა საზოგადოებასა და დროში არ კარგავს აქტუალობას. ოჯახს, როგორც საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვან რგოლს დიდი წვლილი მიუძღვის მოზარდის სოციალიზაციის საკითხში და ვინაიდან სწორედ ოჯახში ეყრება საფუძველი ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებას, მისთვის კულტურული ფასეულობების შექმნას.

მნიშვნელოვანია მინიმუმამდე შემცირდეს ოჯახში ძალადობის ფაქტები რადგან არსებული მოვლენა ხელყოფს ადამიანის უფლებებს, ნეგატიურად აისახება ადამიანის ფსიქიკასა და ფიზიკურ მდგომარეობაზე და ხელს უშლის პიროვნების სრულფასოვან ჩამოყალიბებას/განვითარებას. ოჯახში ძალადობა წარმოადგენს დანაშაულებრივ ქმედებას, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულია მრავალი სახელმწიფო სამსახური საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში.

თანამედროვე საქართველოს რეალობაში ოჯახში ძალადობის ძირითადი მიზეზია ერთი ადამიანის მხრიდან მეორეზე კონტროლისა და ძალაუფლების მოპოვების სურვილი, რასაც ამძაფრებს და ხელს უწყობს ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური-ეკონომიკური მდგომარეობა. ასევე ქალის როლი საზოგადოებაში და მასთან დაკავშირებული მენტალური პრობლემები და სტერეოტიპული ხედვა რომ რაც ოჯახში ხდება არ უნდაგავიდეს მის გარეთ.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია პრობლემის შედარებით მონესრიგება დავინწყით მოქალაქეებთან კომუნიკაციით და მათ მენტალობაზე კონკრეტული დადებითი ზემოქმედებით. ოჯახური ძალადობა წარმოადგენს საზოგადოების საერთო პრობლემას და აქედან გამომდინარე მასთან საერთო ძალებით ბრძოლა არის აუცილებელი. არსებული კუთხით მნიშვნელოვანია სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება და ამ კუთხით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. არსებული გარემოება ძალზედ მნიშვნელოვანია რადგან პრაქტიკამ აჩვენა, რომ უმეტეს შემთხვევაში საზოგადოების უმრავლესობისთვის დღემდე უცნობია ოჯახში ძალადობის ცნება და მისი სახეები, სახელმწიფოს მხრიდან ოჯახში ძალადობის აღსაკვეთათ მომართული ღონისძიებები და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებანი.

ოჯახში ძალადობა ნეგატიურად აისახება არა მხოლოდ ინდივიდის, არამედ საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებაზე. ადამიანის სრულფასოვანი

რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ძალადობისგან თავისუფალ, უსაფრთხოდ შექმნილ გარემოში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ძალადობა აფერხებს პიროვნების უნარს, ხელი შეუწყოს საკუთარი ოჯახისა და საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ თუ სხვა წინსვლას.

ოჯახში ძალადობა საერთაშორისო დონეზე თანამედროვე საზოგადოების გამონგევად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ პრობლემა საკმაოდ დიდი მაშტაბისაა, შესაძლებელია მისი თავიდან აცილება/შემცირება და მასზე ადეკვატური რეაგირება. ამასთანავე, არსებობს ძალადობასთან ბრძოლის სხვადასხვა მიმართულებები, იგულისხმება პირველ რიგში პრევენციული საზოგადოებრივი საგანმანათლებლო ღონისძიებების გატარება. საზოგადოებას სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით, ეს იქნება, პრესა, მასმედია, თუ სხვა უნდა მიენდოს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის დამცირება, ფიზიკური თუ სიტყვიერი შეურაცმყოფა, არაადამიანური მოქცევა და უპატივცემულობა არის გასაკიცხი, როგორც მორალურად, ასევე სამართლებრივად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობის ინფორმირება მათი საგანმანათლებლო საფეხურის შესაბამისად, რაც საბოლოო ჯამში საზოგადოებას მეტად ჩამოუყალიბებს თვითშეგნებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. როდესაც საუბარია სამართლებრივ როლზე სახელმწიფო უნდა იყოს თითოეული მოქალაქის სამართლებრივი გარანტი, რომ მოქალაქის უფლებების შელახვის შემთხვევაში ყოველ პიროვნებას მოეთხოვება შესაბამისი სამართლებრივი პასუხი ჩადენილი ქმედების გამო.

ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან. სოციალური და კულტურული ფაქტორები, უთანასწორო გენდერული როლები, უმუშევრობა, ყოველი ზემოაღნიშნული ძალადობის გამომწვევ ფაქტორს წარმოადგენს. ძალადობის განხორციელების რისკს კიდევ მეტად ზრდის, იგივე ცივი იარაღი, ჭარბად ალკოჰოლის მიღება და ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენება. მნიშვნელოვანია იმ

ფაქტის გაცნობიერება, რომ პიროვნების მიერ გაკეთებულ არჩევანს შეუძლია შეამციროს ან პირიქით, გაზარდოს ძალადობის საფრთხე: როდესაც პირი სრულად ვერ აკონტროლებს უარყოფით ემოციებს, ან/და ხდება, იგივე ალკოჰოლსა და ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებული, იზრდება პიროვნების რისკი – გახდეს მოძალადე ან ძალადობის მსხვერპლი.

ვფიქრობ რომ ძალადობის პრობლემა შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს სახელმწიფოსთან ერთად საზოგადოების გააქტიურებით, საზოგადოებრივი ინსტიტუტების თანამონაწილეობის პირობებში, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად აუცილებელია მჭიდრო კორდინაცია სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურებს შორის. სტრატეგია პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად აფუძნებს თანამშრომლობის ერთიან მექანიზმს, ამ პროცესში პარტნიორებს წარმოადგენენ ოჯახი, მასწავლებელი, მოსწავლე, პოლიცია, სოციალური მუშაკი და კომპეტენტური საზოგადოებრივი ორგანიზაციები. პარტნიორობისთვის აუცილებელია სახელისუფლო სამსახურებისადმი ნდობის გაძლიერება. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიციის სამსახურებისთვის რადგან წარმოადგენს ძალადობაზე რეაგირების პირველ რგოლს. აღნიშნული მიმართულებით საჭიროა გაძლიერდეს საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის როლი.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისას უნდა გამოიყოს მისი პრევენციის პრიორიტეტული მიმართულებები: ოჯახში ძალადობის პრევენცია, სკოლაში ძალადობის პრევენცია, ქუჩაში ძალადობის პრევენცია. დასახული მიზნების მისაღწევად გათვალისწინებული უნდა იქნას კომპლექსური მიდგომა. აღნიშნული სტრატეგია ერთდროულად მიმართულია როგორც ძალადობის გამომწვევი სოციალური მიზეზების აღმოფხვრაზე, ასევე ძალადობის ჩადენის შესაძლებლობების შემცირებაზე. სამართალდარღვევაზე მყისიერი რეაგირება და მოძალადისთვის დაუსჯელობის



სინდრომის აღმოფხვრა, ძალადობის შემაკავებელ ფაქტორს წარმოადგენს. თუმცა, აღნიშნული საკმარისი არ არის და ვერ იძლევა სრულფასოვან გრძელვადიან შედეგს. ამასთან ერთად აუცილებელია განათლების დეფიციტის შევსება, მსხვერპლთა და მოძალადეთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია/რესოციალიზაცია, ალკოჰოლზე, ნარკოტიკულ ნივთიერებებსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების პრევენცია. მნიშვნელოვანია, მედიაციის ინსტიტუტის აქტიური დანერგვა სხვადასხვა სფეროში. ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზება და შესაბამის კამპანიებში ცნობადი სახეების მონაწილეობა. უნდა აღინიშნოს, რომ ძალადობა ოჯახში კომპლექსური პრობლემაა და მასთან ბრძოლის/პრევენციისას არ არსებობს მხოლოდ ერთი, ყოველი სიტუაციისათვის მისაღები სტრატეგია. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ყველა ის გარემოება, რაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და დახმარების დაუყოვნებლივ აღმოჩენას ითვალისწინებს. უმნიშვნელოვანესია, ჩამოყალიბდეს კოორდინირებული საქმიანობა სახელმწიფოს სხვადასხვა სამსახურებს შორის როგორც საერთო პოლიტიკის, ისე პროგრამულ დონეზე. ეფექტური სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის ადვილად ხელმისაწვდომ მრავალმხრივ მომსახურებას/დახმარებას. ასევე, სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობასა და საჭიროების შემთხვევაში მათ ერთობლივ მოქმედებას.

## **გამოყენებული ლიტერატურა**

1. გ. გოგიბერიძე, მ. ფერაძე, გ. მიქანაძე, ნ. სააკაშვილი-„სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენინგებისათვის“. მესამე გამოცემა. (თბილისი-2012წ.)

2. ეთერ კლდინი-ოჯახური ძალადობის დასარული-საზოგადოების მიდგომის შეცვლა, (კალიფორნია.1997 წელი)
3. ირმა ალადაშვილი, ნინო ჩიხლაძე - „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გამოყენების მონიტორინგი“- (2007 წლის ივლისი - 2008 წლის ოქტომბერი 8-9გვ.)
4. კობა ბოჭორიშვილი, მარინა მესხი, ქეთი ხუციშვილი, მაკა ფერაძე, ნოდარ სააკაშვილი, ანა არლანაშვილი, ნატო შავლაყაძე, ნატო ზაზაშვილი-სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე. (ქ.თბილისი 2010 წელი.)  
დავძლიოთ გენდერული ძალადობა ამიერკავკასიაში“39-გვ
5. მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011 სურვილები და ინტერესები“
6. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საია-ოჯახური ძალადობა, სოციალურ-პოლიტიკური ასპექტები, საერთაშორისო პრაქტიკა და მიდგომები-2006 წ.
7. ნ. გაბრიჩიძე - საოჯახო კონფლიქტის შედეგად ჩადენილი ძალადობითი დანაშაულობა -(თბილისი 2004 წ. გამომცემლობა ინტელექტი)13 გვ.
8. ოჯახში ძალადობა და მის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით-ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი. (თბილისი 2017 წ.)
9. ბახუტაძე დ. ვისი ან რისი ბრალია ოჯახში ძალადობა? (თბილისი 2011წ)
10. დასაქმებისა და უმუშევრობის ტენდენციები საქართველოში, ნოემბერი 2011
11. ბებერაშვილი ზ და სხვა, 2007

## კანონი

12. საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ-საქართველოს პარლამენტი -25.05.2017 წელი. მე-11,მე-10 მუხლი.
13. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი 04.05.2017 წელი მუხ-21<sup>13</sup>-6
14. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი-30.05.2018 წლის 30 მაისის კანონი N2396,151-ე-მუხლი.
15. საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ . 2017 წლის 4 მაისის კანონი №761 - ვებგვერდი, 25.05.2017წ მე-16- მუხლი.
16. საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ -28.10.2013 წელი 33-ე-მუხლი
17. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 11 სექტემბრის N1079 ბრძანება
18. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 24 მარტის N333 ბრძანება მუხლი
19. დანართი N1 -მოძალადის მიერ შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის ინსტრუქცია

### **უცხოური ლიტერატურა**

20. Shonkoff, J.P., Garner, A.S., The Committee on Psychosocial Aspects of Child and Family Health, Committee on Early Childhood, Adoption, and Dependent Care, and Section On Developmental and Behavioral Pediatrics. (2012). The lifelong effects of early childhood adversity and toxic stress. Pediatrics. 129:e232-e246.
21. Washington State Family Policy Council (2012). Summary of ACE studies downloaded from <http://www.fpc.wa.gov/publications.html> - These statistics are a summary from more than 50 peer-reviewed scientific studies from the ACE cohort, which has followed over 17,000 adults over time to assess the long-term effects of adverse childhood experiences including:

sexual abuse, physical abuse, emotional abuse and neglect, physical neglect, having parents who abused alcohol or drugs, or father who beat the mother, parents who separated or divorced, parents with mental illness, or a family member who was imprisoned. Data from countries all over the world demonstrate similar effects

22. Shonkoff, J.P., Garner, A.S., The Committee on Psychosocial Aspects of Child and Family Health, Committee on Early Childhood, Adoption, and Dependent Care, and Section On Developmental and Behavioral Pediatrics. (2012). The lifelong effects of early childhood adversity and toxic stress. Pediatrics. 129:e232-e246

წყარო: WHO's Multi-Country Study on Women's Health & Domestic Violence against Women (WHO, 2005)

### ვებ გვერდები:

23. <https://police.ge/files/IRD/A5%20DV%20book.pdf>

24. <https://lesbi.ge/ka/campaigns/16-days/i997/> lesbi.ge v3,2017 0.2713

25. <http://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home.html>

26. <http://intermedia.ge/სტატია/69358-ფსიქოლოგიური-ძალადობა/2/>

27. ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისთვის-ხათუნა ჯანგირაშვილი


28.02.2014 <https://www.facebook.com/JNGEGeorgia/posts/707623695934569/>

29. [www.unicef-irc.org/article/984-stress-as-a-factor-in-family-violence](http://www.unicef-irc.org/article/984-stress-as-a-factor-in-family-violence)


30. [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=145&lang=geo%20](http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo%20)

31. <https://www.interpressnews.ge/ka/article/301284-kartuli-presis-mimoxilva-18102014>


გრაფიკი 1



გრაფიკი 2



გრაფიკი 3



გრაფიკი 4.

